



## შპს „ნახიდური ჰესი“

„ნახიდური ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის  
პროექტში შეტანილი ცვლილებების

სკრინინგის ანგარიში

2023 წელი

## სარჩევი

1	შესავალი	4
2	საპროექტო ცვლილებების დახასიათება	5
2.1	საპროექტო ტერიტორიის მოკლე დახასიათება	5
2.2	პროექტში შეტანილი ცვლილებების დასაბუთება	10
2.2.1	მისასვლელი გზის დახასიათება	12
2.2.2	ნაპირსამაგრი წაგებობა	19
2.2.3	დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელი	27
2.3	მდინარე ხრამის წყლის მაქსიმალური დონეები საპროექტო უბანზე წყლის მაქსიმალური დონეები	29
2.4	მდინარე ხრამის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე, საპროექტო ჰესის განთავსების უბანზე	33
2.5	ჰესის შენობა	35
3	„ნახიდური ჰესის“ ტერიტორიის ფონური მდგომარეობა და საპროექტო ცვლილებებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება	43
3.1	ხმაურით და ემისიების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	45
3.2	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე	45
3.3	ზემოქმედება გრუნტზე და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე	47
3.4	ზემოქმედება წყლის გარემოზე	49
3.5	ბიოლოგიური გარემო	49
3.5.1	ფლორა	49
3.5.1.1	რეგიონის ზოგადი დახასიათება	50
3.5.1.2	კვლევის მეთოდოლოგია	51
3.5.1.3	საპროექტო დერეფანში წარმოდგენილი ჰაბიტატებისა და მცენარეული საფარის დახასიათება	51
3.5.2	ფაუნა	58
3.5.2.1	კვლევის მიზანი	58
3.5.2.2	ფაუნისტური კვლევის მეთოდოლოგია	59
3.5.2.3	დაცული ტერიტორიები	60
3.5.2.4	ფაუნისტური კვლევის შედეგები	60
3.5.2.4.1	ძუძუმწოვრები	61
3.5.2.4.2	ფრინველები (Aves)	66
3.5.2.4.3	ზემოქმედების დახასიათება	78
3.5.2.4.4	შემარბილებელი ღონისძიებები	78
3.5.2.4.5	ქვეწარმავლები და ამფიბიები (კლასი: Reptilia et Amphibia)	79
3.5.2.4.6	უხერხემლოები (Invertebrata)	81
3.5.2.4.6.1	მწერები	82
3.5.3	იქთიოფაუნა	89
3.5.3.1	შესავალი	89
3.5.3.1.1	კვლევის მიზნები და ამოცანები	89
3.5.3.2	კვლევის მეთოდოლოგია	90
3.5.3.2.1	კამერალური კვლევის მეთოდოლოგია	90
3.5.3.2.2	საველე იქთიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია	90
3.5.3.3	კამერალური კვლევა	91
3.5.3.3.1	მდ. ხრამის ზოგადი დახასიათება	91
3.5.3.3.2	მდ. ხრამის იქთიოფაუნა	92
3.5.3.4	საველე კვლევები	101

3.5.3.4.1	ვიზუალური შეფასება	101
3.5.3.4.2	იქთიოფაუნის საარსებო გარემოს კვლევა	103
3.5.3.5	წყლის ხარისხი	103
3.5.3.5.1	თევზების საკვები ბაზა	104
3.5.3.5.2	თევზჭერა	104
3.5.3.5.3	ლაბორატირული კველვა	108
3.5.3.6	ანამზეზი	108
3.5.3.7	ზემოქმედება ჰიდრობიონტებზე და შემარბილებელი ღონისძიებები	109
3.5.3.8	დასკვნა	111
3.6	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე	112
3.7	ნარჩენების მართვით მოსალოდნელი ზემოქმედება	112
<b>4</b>	<b>დანართები</b>	<b>114</b>
4.1	დანართი 1. ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების პოზიცია, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის 4 <sup>1</sup> ნაწილით მოთხოვნილი დოკუმენტაციის თაობაზე	114
4.2	დანართი 2. იქთიოფაუნის დახასიათება	116
4.3	დანართი 3. გარემოს ეროვნული საგენტოს 2023 წლის 17 თებერვლის N21/1015 წერილში განსაზღვრულ შენიშვნებზე რეაგირება	119

## 1 შესავალი

შპს „ნახიდური ჰესი“ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ფარგლებში გეგმავს დღელამური რეგულირების 7.2 მგვტ სიმძლავრის „ნახიდური ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას, რასთან დაკავშრებითაც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მიხედვით გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწვეტილება (2020 წლის 25 აგვისტოს N 2-758).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდგომ, დაიწყო პროექტის დეტალურ დიზაინზე მუშაობა, შესაბამისად საჭირო გახდა სხვადასხვა საკითხის დაზუსტა. დეტალური პროექტირებისას საჭირო გახდა მიღლასადენის ბუფერის გაფართოება, ჰესის შენობის ფართობის გაზრდა, ჰესის შენობამდე მისასვლელი გზის მოწყობა და მდ. ხრამის მარჯვენა და მარცხენა სააპიროებს შორის დროებითი საავტომობილო გადასასვლელის მოწყობა, რომელიც მოემსახურება ჰესის სამშენებლო სამუშაოებს მშენებლობის ეტაპზე. სააპიროექტო ცვლილებებით, ასევე შეიცვალა ჰესის შენობის წარეცხვისაგან დასაცავად გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგრძე, კერძოდ 145 მ-დან შემცირდა 124 მ-მდე, ამასთან ვინაიდან გზშ-ის ეტაპზე არ იყო დაზუსტებული ტურბინა-გენერატორები ისეთი დეტალი, როგორიც არის მარგი ქმედების კოეფიციებტი (მქ), საბოლოო პროექტით შერჩეულმა ტურბინა-გენერატორების აღნიშნულმა პატამეტრმა განაპირობა, ჰესის დადგმული სიმძლავრის 7.5 მგვტ დან 7.2 მგვტ-მდე შემცირება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის თანახმად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“, შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სკრინინგის განაცხადის ძირითად დანართს, სადაც განხილულია და შეფასებულია საპროექტო ცვლილებებით მოსალოდნელი ზემოქმედებები, გარემოს სხვადასხვა კომპონენტების მიმართ.

საქმიანობის განმახორციელებლის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1

### ცხრილი 1.1

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს „ნახიდური ჰესი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	მ. კოსტავას 47/57 ბიზნეს ცენტრი სინათლე, ოფისი 29, 0179 თბილისი, საქართველო
საქმიანობის განმხორციელების ადგილი	ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია
საქმიანობის სახე	ჰესის მშენებლის მშენებლობა-ექსპლუატაცია
<b>შპს „ნახიდური ჰესი“ საკონტაქტო მონაცემები:</b>	
ელექტრონული ფოსტა	<a href="mailto:nakhidurihpp@yahoo.com">nakhidurihpp@yahoo.com</a> ; <a href="mailto:Tenalavi79@gmail.com">Tenalavi79@gmail.com</a>
საიდენტიფიკაციო კოდი	400207049
საკონტაქტო პირი	თენავიზ ალავიძე
საკონტაქტო ტელეფონი	599 149419

## 2 საპროექტო ცვლილებების დახასიათება

### 2.1 საპროექტო ტერიტორიის მოკლე დახასიათება

განსახილველი ტერიტორია მდებარეობს ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ფარგლებში, ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა იგეგმება მდ. ხრამზე.

მდ. ხარამის საპროექტო მონაკვეთზე ხეობა დაუსახლებელია შესაბამისად პროექტის გავლენის ზონაში არ ექცევა საცხოვრებელი ან კომერციული დანიშნულების შენობა ნაგებობები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი სათავე ნაგებობიდან დაცილებულია 2,5 კმ-ით (სოფ. ქოსალარი), ხოლო ჰესის შენობიდან დაახლოებით 1.7 კმ-ით (სოფ. ნახიდური), საპროექტო ცვლილებების მიხედვით საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი არ შეცვლილა. ჰესის კომუნიკაციების განლაგების სიტუაციური სქემა იხ. სურათზე 2.

საპროექტო ჰესის სადაწნეო მიღლადენის ტრასა თითქმის მთლიანად მიუყვება არსებულ საავტომობილო გზას, ორჯერ გადაკვეთს მდ. ხრამს. ჰესის შენობის მოწყობა დაგეგმილია მდინარის მარჯვენა სანაპიროს პირველ ტერასაზე.

საპროექტო ცვლილებებით, არ იცვლება დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და არც მათი სამუშაო გრაფიკი. სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოწოდება მოხდება გზშ-ის პირობების შესაბამისად, ქვიშა-ხრეშით სამშენებლო უბნები მომარაგდება უახლოესი ლიცენზირებული კარიერებიდან. საპროექტო ცვლილებები არ გულისხმობს ახალი სამშენებლო ბანაკის მოწყობა, მშენებლობის ეტაპზე მოხდება გზშ-ის ნაგარიშით განსაზღვრული სამშენებლო ბანაკების და მოედნების გამოყენება. საპროექტო ცვლილებებით, არც გზშ-ის ანგარიშში მოცემული ტექნიკის სახეობები არ შეცვლილა, პროექტის ფარგლებში გამოიყენებელი ტექნიკის ნუსხა მოცემულია ცხრილში 2.

#### ცხრილი 2 სამშენებლო სამუშოებისთვის საჭირო ტექნიკის ნუსხა

N	გამოსაყენებელი აღჭურვილობის ნუსხა	N	გამოსაყენებელი აღჭურვილობის ნუსხა
1	ამწე / სატვირთო ავტომობილი	12	ბეტონის პომპიანი სატვირთო
2	ამწე მაღლივი სამუშაოებისთვის (ტელესკოპური)	13	ვიზუალური
3	გასამლელი სექციური ამწე	14	გრუნტის დამრკეპნი
4	მისამელიანი სატვირთო ავტომობილი	15	თვითმცლელი სატვირთო
5	მისამელიანი სატვირთო ავტომობილი	16	წყლის ავზიანი სატვირთო
6	ციცვიანი ექსკავატორი	17	გრუნტის დამრკეპნი - ბარაბნიანი
7	სატვირთოზე მიბმული კომპრესორი	18	ელ. გენერატორი
8	ბულდოზერი ზედაპირის მოსასწორებლად	19	ასლფალტობეტონის გზის საფარის დამგები
9	დამტვირთველი	20	ასლფალტობეტონის გზის საფარის დამტკეპნი
10	მოთხრილი ქანების შემგროვებელი	21	მობილური ბეტონის ქარხანა
11	ბეტონ შემრევი სატვირთო	22	პნევმატური კლდის მგრეველი (ე.წ. კოდალა)

#### ცხრილი 3 საპროექტო ცვლილებებით განსაზღვრული ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები

კოორდინატის აღების წერტილი	X	Y	კოორდინატის აღების წერტილი	X	Y
ბუფერის საწყისი წერტილი	471041	4593600	მისასვლელი გზა	472937	4592927

დროებითი საავტომობილო გადასასვლელი	472849	4593015	ჰესის შენობა	473249	4593149
ნაპირსამაგრი ნაგებობა (საწყისი)	473194	4593146	ნაპირსამაგრი ნაგებობა (საბოლოო)	473311	4593151

სურათი 1 ტერიტორიის ზოგადი ხედები



სურათი 2 საპროექტო ტერიტორიის სიტიაციური სქემა≈





## 2.2 პროექტში შეტანილი ცვლილებების დასაბუთება

„ნახიდური ჰესი“-ს მოწყობა გათვალისწინებულია მდინარე ხრამზე, ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ფარგლებში. დღევანდელი მდგომარეობით ჰესის პროექტირება ფაქტიურად დასრულებულია. მიმდინარეობს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურები.

ჰესის პროექტზე მუშაობა დაიწყო 2019 წელს. პირველ ეტაპზე განხორციელდა ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამუშავება. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დონეზე დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია დაედო საფუძვლად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რომლის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გასცა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე ჰესის მონაცემები, სქემა, მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთების განთავსება და ჩამონათვალი, სადაწნეო მილსადენის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ბუფერი და ა.შ, რომლებიც ამჟამად წარდგენილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, განისაზღვრა, ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებიდან მიღებულ მონაცემების საფუძველზე.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და მის საფუძველზე გზშ-ს დამუშავების დასრულების შემდეგ გავიდა 2 წლიანი პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის დასამუშავებლად. მთლიანობაში გზშ-ს დამუშავებისას მიღებული ჰესის სქემა (ჰესის სიმძლავრე, დაწნევა, წყალაღების საანგარიშო ხარჯი, დამონტაჟებული ტურბინების ტიპი და რაოდენობა, სათავე ნაგებობისა და სააგრეგატე შენობის განთავსება და ზომები, სადაწნეო მილსადენის სიგრძე, მიმართულება, მდინარის კალაპოტის გადაკვეთის ადგილები) დეტალური პროექტის მიხედვითაც დარჩა იგივე, რაც განხილულია გზშ-ის ანგარიშში. მაგრამ არის ცალკეული ცვლილებებიც, კერძოდ, რამდენიმე უბანზე, შეიცვალა სადაწნეო მილსადენის მოსაწყობად გამოყოფილი ბუფერის სიგანე და მოხაზულობა. ეს ცვლილებები ზომით რამდენიმე მეტრის ფარგლებშია, რომელიც გზშ-ის ანგარიშში განხილული ზემოქმედებისგან სახეებისგან, მნიშვნელოვნად განსხვავებული არ არის, შემცირდა ჰესის შენობის წარცხვისგან დამცანი ნაპირსამაგის სიგრძე, ასევე შემცირდა დადგმული სილძავრის 7.5 მგვტ-დან 7.2 მგვტ-მდე, რაც როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა გაპირობებულია ტურბინა-გენერატორების მქე-ის დაზუსტდებით, ასე უნდა აღინიშნოს, რომ ჰესის დაგმული სიმძლავრის ცვლილებას, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არც ბუნებრივ და არც სოციალურ გარემოზე ზემოქმედება არ მოუხდენია, შესაბამისად პარაგრაფ 3-ში, ამ მხრივ ზემოქმედებები არ არის განხილული.

მილსადენის ბუფერის გაზრდის აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ რომ ბევრგან, სადაწნეო მილსადენის ტრასა გადის მთის ფერდობზე, შესაბამისად სადაწნეო მილსადენის ტრანშეის დამუშავებისა და მის გასწროვ გამავალი სამშენებლო-საექსპლუატაციო გზის მოწყობის პროცესში საჭირო იქნება: მილსადენის ტრასის მარჯვენა მხარეზე მთის ფერდობების ქვედა ნაწილის ჩამოჭრა, ხოლო ტრასის მარცხენა მხარეზე ყრილების მოწყობა. ასეთ სიტუაციაში უკვე, გზშ-ის ეტაპზე შეთანხმებული ბუფერის სიგანე აღარ არის საკმარისი, რადგან ბუფერმა უნდა მოიცვას, მილსადენის ტრასის მარჯვენა მხარეზე ჩამოჭრილი ფერდობის ნაწილის ზედა წიბო, ხოლო მარცხენა მხარეზე კი წარმოქმნილი ნაყარის ძირის ხაზი. მილსადენის ტრასის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მუდმივად გამოყენებული იქნება ბუფერის 10 -12 მ სიგანის ზოლი (რაც პრაქტიკულად უცვლელად დარჩა პირვენდელ პროექტთან მიმართებით), მილსადენის ღერძიდან ერთ მხარეზე 4.0-5.0 მ, ხოლო მეორე მხარეზე 6.0-7.0 მ (თუ რომელ მხარეზე რამდენი მეტრი იქნება საჭირო

განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის მიხედვით) რომლიდანაც, საჭიროების შემთხვევაში მოხდება ჰესის სადაწნეო მილსადენის სარემონტო სამშაოების ჩატარება. ბუფერის დანარჩენი ნაწილი რომელიც სცილდება მუდმივ სარგებლობაში გამოსაყოფ 10.0-12 მ სიგანის ზოლს, ჰესის შემდგომი ექსპლუატაციისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს, შესაბამისად ეს ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს დროებითი სარგებლობისათვის გამოყოფილად. საბოლოო პროექტის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის ბუფერისათვის გამოყოფილი ფართობი შეადგენს: 60 770,5 მ<sup>2</sup>-ს. ამ ფართობიდან მუდმივ სარგებლობაში გადასაცემია 33 336,96≈33 337 მ<sup>2</sup>, ხოლო დროებითად გასაცემი ფართობი იქნება 60 770,5 – 33 377= 27 393,5 მ<sup>2</sup>, 27 393,5 მ<sup>2</sup> არის ის ფართობი, რომელიც დაემატა ჭრილებისა და ყრილებისათვის საჭირო სიგანის გათვალისწინების შედეგად. საბოლოო პროექტის მიხედვით, დროებითი ბუფერის საშუალო სიგანე იქნება არაუმტეს 36 მეტრი.

სადაწნეო მილსადენის ტრასა კვეთს მდინარის კალაპოტს. შესაბამისად მდინარის კალაპოტი უნდა გადაკვეთოს სადაწნეო მილსადენის მშენებლობისათვის მოწყობილმა გზამაც, რომელიც შემდგომში ალბათ დარჩება როგორც საექსპლუატაციო გზა. პროექტის თავდაპირველი ვარიანტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო სადაწნეო მილსადენით მდინარის კალაპოტის გადაკვეთა აკვედუკის მეშვეობით და გზის გადატარება იმავე აკვედუკით, მილსადენის ზემოდან მოწყობილი სავალი ნაწილით. აკვედუკის მოწყობა გათვალისწინებულია ფოლადის დეტალებით. ისეთი აკვედუკის მოწყობა, რომელზე მოწყობილ სავალ ნაწილზეც შესაძლებელია სატვირთო ავტომობილებისა და მძიმე სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება, მაღალ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. დღევანდელი სიტუაციიდან და ფასებიდან გამომდინარე, ოპტიმალურია, რომ აკვედუკის თავზე მოწყობილი გზა გაითვალოს მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების (პიკაპი) მომრაობაზე, ხოლო მძიმე სამშენებლო ტექნიკისა და მილების შესატანად გამოყენებული სატვირთო ავტომობილების მდინარის მეორე ნაპირზე გადასაყვანად მოეწყოს დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელი მდინარის კალაპოტში, რომელიც მაქსიმალური წყალმოვარდნებისას კი დაიფარება წყლით, მაგრამ წლის უმეტეს პერიოდში შეასრულებს სახიდე გადასასველის ფუნქციას. შესაბამისად საჭირო გახდა დამატებითი ნაკვეთის გამოყოფა ამ დროებითი გადასასვლელის მოსაწყობად.

სადაწნეო მილსადენის მოსაწყობად გამოსაყოფი ბუფეროს სიგანე განსაზღვრული იყო ამ ბუფერში, 28X3,2 მ. დიამეტრის მილების სამონტაჟოდ საჭირო ტრანშეის სიგანის მიხედვით. როგორც სადაწნეო მილსადენის ტრასის დეტალური პროექტის დამუშავების პროცესში დადგინდა, რამდენიმე უბანზე სადაწნეო მილსადენის ტრანშეის გასაყვანად, საჭირო თაროს მოსაწყობად საჭიროა მიმდებარე ფერდობების ჩამოსწორება-ექსკავაცია. ფერდობზე გამავალი აღნიშნული ჩამოსწორების ზედა ხაზი, უკვე ვეღარ ეტევა გამოყოფილ ბუფერში. შესაბამისად საჭიროა ამ ჩამოსწორებული ფერდობით დაკავებული ზოლის მშენებლობისათვის დროებით სარგებლობაში გამოყოფა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოიქმნა ჰესის სადაწნეო მილსადენის მოსაწყობად გამოყოფილ ბუფერში ცალკეული ცვლილებების შეტანისა და რამდენიმე ლოკლურ ადგილზე დამატებითი მიწების (ძირითადად, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დროებით სარგებლობაში) გამოყოფის აუცილებლობა.

საჭირო გახდა პროექტის საწყის ვარიანტში გარკვეული ცვლილებების შეტანა ჰესის სააგრეგატე შენობის ნაწილშიც. კერძოდ, თავდაპირველი პროექტის მიხედვით, ჰესის სააგრეგატე შენობის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთის ზომები განსაზღვრული იყო აღნიშნულ ნაკვეთში სააგრეგატე შენობის დატევის მოთხოვნით. შესაბამისად, ნაკვეთის ზომები მხოლოდ მცირედით აღემატებოდა სააგრეგატე შენობის ზომებს. როგორც პროექტის ექსპერტიზის პროცესში გაირკვა, ჰესის სააგრეგატე შენობის მოსაწყობად

გამოყოფილი ნაკვეთის ფართობი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. „K1“ კოეფიციენტის მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა, რომ ნაკვეთის ფართობი მნიშვნელოვნად აღემატებოდეს სააგრეგატე შენობის მიერ, უშუალოდ დაკავებულ ფართობს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა სააგრეგატე შენობისათვის გამოყოფილი ფართობის გაზრდა და ამ მიზნით დამატებითი ნაკვეთის გამოყოფა. გარდა აღნიშნულისა, როგორც პროექტზე მუშაობის პროცესში გაირკვა, სააგრეგატე შენობის მიმდებარე უბანზე, მდინარე ხრამის წყალდიდობის ხარჯების შესაბამისი წყლის დონეებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ნაპირდამცავი საყრდენი კედლის გზშ-ის ანგარიში მოცემული მონაცემიებისგან შემცირება. ასევე სჭიროდ იქნა მიჩნეული უშუალოდ სააგრეგატე შენობასთან, მიმდებარე ფერდობის ზემოთ გამავალი ადგილობრივი დანიშნულების გრუნტის გზიდან საავტომობილო ჩასასვლელის მოწყობა.

## 2.2.1 მისასვლელი გზის დახასიათება

პროექტის მიხედვით ნახიდური ჰქეის სააგრეგატე შენობის მოწყობა გათვალისწინებულია მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპირო ტერასაზე. ჰქეის სააგრეგატე შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოსწორების ნიშნული შეადგენს 422,30 მ-ს.


სააგრეგატე შენობასთან მისასვლელად გათვალისწინებულია მოხრეშილი გრუნტის გზის მოწყობა, რომელიც დაუკავშირდება სააგრეგატე შენობის სიახლოვეში გამავალ ადგილობრივი დანიშნულებიუს გრუნტის გზას. გზის დასაწყისში, მიწის ზედაპირის არსებული ნიშნულია 435,80 მ. ჰქეის სააგრეგატე შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოსწორების ნიშნული შეადგენს 422,30 მ-ს. შესაბამისად ნიშნულების ვარდნა გზის ფარგლებში შეადგენს  $435,8 - 422,30 = 13,5$  მ.-ს. გზა ჩადის მდინარე ხრამის ხეობის მარჯვენა სანაპირო ფერდობზე. გზა გეგმაში ერთგან საწყის ნაწილში აკეთებს ვირაუს, ხოლი შემდგომ უკვე სწორხაზოვნი ტრასით ჩაიყვანება ჰქეის სააგრეგატე შენობის მიმდებარე მოსწორებულ ტერიტორიამდე. გზის საერთო სიგრძე შეადგენს 515,მ.-ს, რაც 13,5 მ. სიმაღლეთა ვარდნის პირობებში გვაძლევა  $13,5 : 515 = 0,026$ -ის ტოლ გასაშუალებულ ქანობს. თუმცა გზის გარკვეულ მონაკვეთებზე ქანობი უფრო მეტია. კონკრეტულად, გზის დასაწყისში არის 40 მ. სიგრძის უბანი 20%-იანი ქანობით. აღნიშნული ქანობი მაღალია, მაგრამ მონაკვეთის მცირე სიგრძისა და აგრეთვე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დატვირთულ ავტომობილებს ამ მონაკვეთზე მოძრაობა მოუწევთ დაღმართის მიმართულებით, ხოლო უკან, აღმართის მიმართულებით, ძირითადად უტვირთოდ იმოძრავებენ, აღნიშნული არ ჟექმნის პრობემებს გზის ექსპლუატაციისას. გზის თაროს სიგანე შეადგენს 6,5 მ.-ს რაც ასეთი ტიპის გზისათვის, სადაც არ არის მოსალოდნელლი ავტომობილების ორმხრივი მოძრაობა სავსებით საკმარისია. გზის მიმდებარე მარჯვენა ფერდობი ჩამოსწორებულია 1:0,5-ის ტოლი ქანობით. მთლიანად გზის მშენებლობაზე შესრულებული გრუნტის მოჭრის სამუშაოთა მოცულობა შეადგენს 6100 მ³-ს. გზის განთავსება და კონსტრუქციული დეტალები ცალკეული კვეთების მიხედვით წარმოდგენილია თანდართულ შესაბამის ნახაზებზე.



ნახაზი 1 სააგრეგატო შენობამდე მისასვლელი გზის გეგმა




ნახაზი 2 სააგრეგატო შენობამდე მისასვლელი გზის ჭრილი


ნახაზი 3 გზის განივი ჭრილები







ნახაზი 4 მიღებადების ტრასის საერთო სქემა



## 2.2.2 ნაპირსამაგრი ნაგებობა

„ნახიდური ჰესი“-ს სააგრეგატე შენობა მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა სანაპირო ტერასაზე. აღნიშნული ტერასის ნიშნულები საკმაოდ დაბალია, და შესაბამისად, როგორც ტერასას, ისე მასზე განთავსებულ ჰესის სააგრეგატე შენობას ემუქრება დატბორვა, მდინარე ხრამში მაქსიმალური წყალდიდობის ხარჯების მოსვლისას. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ. 59 ნახაზი 4.2.5.2), პირვანდელი პროექტით გათვალისწინებული იყო 145 მეტრიანი ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა, ხოლო წინამდებარე სკრინინგის მიხედვით საპროექტო ცვლილებებით, იქიდან გამომდინარე რომ შეიცვალა ჰესის შენობის კონფიგურაცია, შემცირდა ნაპირსამაგრი კედლის სიგრძე 124 მ-დე, აღნიშნული ნაპირსამაგრი კედელი, უზრუნველყოფს ჰესის შენობის დატბორვისგან დაცვას.

სააგრეგატე შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პროექტით გათვალისწინებულია სააგრეგატე შენობის გასწვრივ, მდინარის მარჯვენა სანაპირო ზოლში, ნაპირდამცავი კედლის მოწყობა. ცხადია, რომ ნაპირდამცავი კედლის ძირი უნდა ჩაცდეს მოსალოდნელი ადგილობრივი გარეცხვის სიღრმეს, ხოლო კედლის ქიმი მაღლა უნდა იყოს, მოცემულ უბანზე მაქსიმალური საანგარიშო წყლის ხარჯის (1095 მ<sup>3</sup>/წმ) შესაბამის დონესთან შედარებით. აღნიშნული მოთხოვნების დაცვის აუცილებლობიდან გაომდინარე კედლის სიმაღლე გამოდის საკმაოდ მაღალი (იხ. ნახაზი ქვემოთ).

პროექტით მიღებული ნაპირდამცავი კედლის კონსტრუქციით გათვალისწინებულია, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ჰესის სათავე ნაგებობაზე, დროებითი წყალგამყვანი კალაპოტის დამბის დემონტაჟის შედეგად მიღებული მასიური, 1,0X1,0X2,0 მ. ზომის ბეტონის ბლოკები. იგულისხმება, რომ სააგრეგატე შენობასთან ნაპირდამცავი კედლის მშენებლობის დროისათვის, ჰესის სათავე ნაგებობის მშენებლობა უკვე დასრულებულია და შესაბამისად არსებობს, სათავე ნაგებობის მშენებლობის ადგილიდან წყლის ნაკადის მოსაცილებლად, აღნიშნული ბლოკების გამოყენებით მოწყობილი დროებითი დამბის დემონტაჟის შესაძლებლობა. დამბის დემონტაჟის შედეგად მიღებული ბეტონის ბლოკები გადატანილი იქნება სააგრეგატე შენობასთან, ნაპირდამცავი კედლის მშენებლობის ადგილზე და გამოიყენება ნაპირდამცავი კედლის კონსტრუქციაში.

ნაპირდამცავი კედლის კონსტრუქციას აქვს შემდეგი სახე. კედლის საფუძველში ორი რიგად (სიმაღლე 1,0+1,0=2,0 მ.), სპეციალურად მოწყობილ ტრანშეაში ჩალაგდება აღნიშნული მასიური ბეტონის ბლოკები, რომლებიც ქმნის კედლის გამორეცხვის საწინააღმდეგო კბილს, განივი კვეთის ზომებით 2,0X2,0 მ. აღნიშნული კბილის კონსტრუქციის ძირი ჩასცდება მოსალოდნელი ადგილობრივი გარეცხვის დონის ხაზს. ბეტონის ბლოკების გამოყენებას გამორეცხვის საწინააღმდეგო კბილის მოსაწყობად აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა. აღნიშნული კბილის ძირი საკმაოდ ღრმადაა მდინარის ფსკერის არსებულ დონესთან შედარებით და აქედან გამომდინარე, ამ ნიშნულებზე, მონოლითური არმირებული ბეტონის კედლის მოწყობა, მეტად რთული იქნებოდა კედლის საძირკველის ტრანშეაში წყლის ნაკადის ინტენსიური შემოდინების გამო. მასიური ბეტონის ბლოკების კონსტრუქციის მოწყობა ასეთ პირობებში გაცილებით უფრო მარტივია.


აღნიშნულ გამორეცხვის საწინააღმდეგო კბილზე ზემოდან ეწყობა მონოლითური არმირებული კედლის კონსტრუქცია. კედლის განივი კვეთის ზომები და კონსტრუქციული დეტალები წარმოდგენილია თანდართულ, შესაბამის ნახაზებზე.

მონოლითური ბეტონის კედლის ზემოდან უკვე ეწყობა, 1,0x1,0x2,0 მ. ზომების მასიური ბეტონის ბლოკების, 4,6მ. სიმაღლის (4 სართულად განთავსებული ბეტონის ბლოკები,


ბლოკებს შორის მონოლითური ბეტონის 20 სმ სისქის ფენით) საყრდენი კედელი. აღნიშნული, ბლოკებისაგან შექმნილი კედლის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია ამ კედლის საფუძველში გრუნტის ფენებად დატკეპნა და შემდგომი მოსწორება, რათა ბლოკები დალაგდეს სწორ და მკვრივ საფუძველზე. ბლოკების კონსტრუქციის მეტი სამედოობისა და მდგრადობისათვის, ბლოკებს შორის, როგორც ჰორიზონტალური ისე ვერტიკალური მიმართულებით ეწყობა 20 სმ. სისქის მონოლითური B-20 მარკის ბეტონის ფენა, ანუ ხდება ბეტონის ბლოკებისაგან მოწყობილი კონსტრუქციის გამონოლითება.


საყრდენი კედლის განთავსება, დეტალური ზომები და კონსტრუქციული დეტალები წარმოდგენილია ნახაზებზე ქვემოთ.


ნახაზი 5 აპირსამაგრი ნაგებობის გეგმა





ნახაზი 6 ნაპირსამაგრი ნაგებობის ჭრილები













## 2.2.3 დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელი

“ნახიდურიკესის” სადაწნეო მილსადენი, რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, ცალკეული უბნების მიხედვით გადის ხან მდინარის მარჯვენ, ხან მარცხენა ნაპირზე. სადაწნეო მილსადენით მდინარის გადაკვეთა ხდება სპეციალურად მოწყობილი აკვედუკების მეშვეობით. აღნიშნულ აკვედუკებზე, მილის ზემოდან გათვალისწინებულია საავტომობოლო გადასასვლელების მოწყობა, რომლებიც გათვლილია მცირე წონის ავტომობილების (მსუბუქი ავტომობილები, პიკაპები) მოძრაობაზე. აღნიშნული აკვედუკების გამოყენება სატვირთო ავტომობილებისა და მძიმე სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებისათვის არ დაიშვება. შესაბამისად, მშენებლობის პირობებში, მძიმედ დატვირთული სატვირთო ავტომობილებისა და სამშენებლო ტექნიკის, სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად და ტვირთის (მილის სექციები, ბეტონი და ა.შ.) გადასატანად, მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე გადაყვანისათვის, საჭიროა დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელის მოწყობა.

რადგან სტაციონალური ხიდის მოწყობა დაკავშირებული, როგორც გარემოსდაცვით რისკებთან, ასევე მაღალ ხარჯებთან, ამ მიზნით გადაწყდა სატრანსპორტო გადასასასვლელის მოწყობა მრავალძაფიანი მილხიდის სახით. მდინარე ხრამი გატარებული იქნება  $2,0 \times 2,0$  მ. შიდა განივი კვეთის მქონე ბეტონის კონსტრუქციებისაგან მოწყობილი 6 ძაფიანი (ბეტონის წყალგამტარი კონსტრუქცია მოეწყობა 6 რიგად) მილხიდით, ხოლო ამ მილხიდებზე ზევიდან გადავა სატრანპორტო გზა. ჯამში ექვსივე ძაფის განივი კვეთის ფართი იქნება  $6^*4 = 24,0$  მ<sup>2</sup>. მილხიდის თითოეული ძაფის (განივი კვეთის ფართი  $2,0+2,0=4,0$  მ<sup>2</sup>) გამტარობა, თანახმად შესაბამის ტექნიკურ ლიტერატურაში (მოსკოვი. ჰიდრავლიკური ცნობარი, თავი 14. პარაგრაფი 4. საგზაო მილები. ცხრილი 14.6) მოყვანილი მონაცემებისა, იმ პირობებში როცა წყალი მილის შესასვლელი კვეთის წინ შეტბორილია 2,5 მ. სიმაღლეზე (სიმაღლე აითვლება მილხიდის შიგაა ზედაპირის ძირის დონიდან), შეადგენს 11,0 მ<sup>3</sup>/წმ-ს. რაც მილხიდის 6 ძაფისათვის გვაძლევს 66 მ<sup>3</sup>/წმ-ს. ამგვარად მილხიდების ჯამური წყალგამტარობა სავსებით საკმარისია, ჩვეულებრივ, პირობებში, წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე დღის გამოკლებით, მდინარე ხრამის წყლის ხარჯის გასატარებლად. ხოლო ცალკეული მაქსიმალური წყალმოვარდნების შემთხვევაში, ადგილი ექნება წყლის ნაკადის სატრანსპორტო გადასასასვლელზე ზევიდან გადადინებას. ამ დროს სატრანსპორტო გადასასასვლელზე მოძრაობა, რა თქმა უნდა შეუძლებელია, მაგრამ ამასთან სატრანსპორტო გადასასასვლელის კონსტრუქცია ისეა გათვლილი, რომ წყლის ზემოდან გადადინება არ გამოიწვევს მის დანგრევას, და წყალმოვარდნის ნაკადის ჩავლის შემდეგ, სატრანსპორტო გადასასასვლელის გამოყენება კვლავ იქნება შესაძლებელი. მთლიანად მილხიდის სიგრძე (აღებული სათავისებს შორის, ამ სათავისების სიგრძის ჩაუთვლელად) შეადგენს 14,2 მ.-ს.

აღსანიშნავია, რომ ზუსტად ანალოგიური კონსტრუქციის სატრანსპორტო გადასასასვლელი, საპროექტო კვეთიდან ზევით, მდინარე ხრამზე უკვე რამდენიმე წელია რაც ფუნქციონირებს.

ნახაზი 7 დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელის სქემა და ჭრილი



### 2.3 მდინარე ხრამის წყლის მაქსიმალური დონეები საპროექტო უბანზე წყლის მაქსიმალური დონეები

მდინარე ხრამის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დასადგენად საპროექტო უბანზე გადაღებული იქნა კალაპოტის განივი კვეთები, რომელთა საფუძველზე დადგენილი იქნა მდინარის ჰიდრავლიკური ელემენტები. აღნიშნული ჰიდრავლიკური ელემენტების მიხედვით განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის  $Q = f(H)$  დამოკიდებულების მრუდების აგება, რომლებიც ერთმანეთთან შებმულია ორ მეზობელ კვეთს შორის ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობის შერჩევის გზით.

კვეთში ნაკადის საშუალო სიჩქარე ნაანგარიშევია შეზი-მანინგის ცნობილი ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$V = \frac{h^{2/3} \cdot i^{1/2}}{n}$$

სადაც  $h$  – ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ში;

$i$  – ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია ორ საანგარიშო კვეთს შორის;

$n$  – სიმქისის კოეფიციენტია, რომლის სიდიდე, დადგენილი სპეციალური გათვლებით კალაპოტისთვის მიღებულია 0,045-ის ტოლი.

ქვემოთ, ცხრილში 2 მოცემულია მდ. ხრამის სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები საპროექტო უბანზე ხრამის წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ-ის გადმოშვების შემთხვევაში, ხოლო 3 ცხრილში, წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან გადმოშვებული წყლის გარეშე.

**ცხრილი 4** მდინარე ხრამის წყლის მაქსიმალური დონეები საპროექტო უბანზე წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ-ის გადმოშვების შემთხვევაში

განივი ს № და პკ	მანძილ ი განივებ ს შორის მ-ში	წყლის ნაპირის ნიშნულ ი მ.აბს.	ფსკერის უდაბლეს ი ნიშნული მ.აბს.	წ. მ. დ.					
				$\tau =$ 200 5 $\text{მ}^3/\text{წმ}$	$\tau =$ 100 0 $\text{მ}^3/\text{წმ}$	$\tau =$ 50 5 $\text{მ}^3/\text{წმ}$	$\tau =$ 33 0 $\text{მ}^3/\text{წმ}$	$\tau =$ 20 5 $\text{მ}^3/\text{წმ}$	$\tau =$ 10 0 $\text{მ}^3/\text{წმ}$
1. 0+50	50	442.70	441.51	448.10	447.90	447.7 0	447.6 0	447.5 0	447.3 0
2. 1+00		442.51	441.48	448.00	447.80	447.6 0	447.5 0	447.3 0	447.0 0
3. 2.+00	100 200	442.10	441.24	447.70	447.50	447.3 0	447.2 0	447.0 0	446.7 0
4. 3+00		441.60	440.72	447.20	447.00	446.8 0	446.7 0	446.5 0	446.3 0
5. 4+00	100 100	441.00	440.09	446.60	446.40	446.2 0	446.1 0	445.9 0	445.7 0
6. 6+00		439.00	437.96	444.30	444.10	443.9 0	443.8 0	443.6 0	443.4 0
7. 7+00	200 200	438.30	437.12	443.20	443.10	442.9 0	442.8 0	442.7 0	442.4 0

8. 8+00	100 100 200	438.15	437.44	442.80	442.60	442.4 0	442.3 0	442.2 0	442.0 0
9. 9+00		436.65	435.97	441.30	441.20	441.0 0	440.9 0	440.7 0	440.5 0
10. 10+00		435.00	434.20	439.70	439.60	439.4 0	439.3 0	439.1 0	438.9 0
11. 11+04		433.10	432.18	438.30	438.20	438.0 0	437.9 0	437.7 0	437.5 0
12. 12+00		432.00	431.06	437.10	437.00	436.8 0	436.7 0	436.5 0	436.3 0
13. 14+00		429.50	428.55	434.70	434.60	434.4 0	434.3 0	434.1 0	433.9 0
14. 16+00		427.60	426.18	433.00	432.90	432.6 0	432.5 0	432.3 0	432.1 0
15. 17+00		427.10	426.06	432.00	431.80	431.6 0	431.5 0	431.3 0	431.1 0
16. 18+00		426.15	425.50	431.10	430.90	430.7 0	430.6 0	430.4 0	430.2 0
17. 20+00		423.56	422.41	429.40	429.20	429.0 0	428.9 0	428.7 0	428.3 0
18. 22+00	200 200 234 66 26	421.70	420.85	426.70	426.50	426.3 0	426.2 0	426.1 0	425.8 0
19. 24+00		421.55	421.00	425.60	425.40	425.2 0	425.1 0	425.0 0	424.8 0
20. 26+34		418.58	417.83	423.60	423.50	423.3 0	423.1 0	423.0 0	422.7 0
21. 27+00		417.60	416.72	423.00	422.80	422.7 0	422.5 0	422.4 0	422.1 0
22. 27+26		417.33	416.33	422.80	422.50	422.4 0	422.2 0	422.1 0	421.8 0

ცხრილში მოცემული წყლის დონეები პკ 27+00 და 27+26-ზე ასახავს წყლის დონეებს სააგრეგატო შენობის ტერიტორიის ნაპირდამცავ კედელთან

ცხრილი 5 მდინარე ხრამის წყლის მაქსიმალური დონეები საპროექტო უბანზე არსებულ პირობებში \_ წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან წყლის გადმოშვების გარეშე

განივის № და პკ	მანძილი განივებს შორის მ-ში	წყლის ნაპირის ნიშნული მ.აბს.	ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.აბს.	წ. მ. დ.					
				$\tau =$ 200 წელს, Q=595 $\partial^3/\partial t$	$\tau =$ 100 წელს, Q=520 $\partial^3/\partial t$	$\tau =$ 50 წელს, Q=445 $\partial^3/\partial t$	$\tau =$ 33 წელს, Q=400 $\partial^3/\partial t$	$\tau =$ 20 წელს, Q=345 $\partial^3/\partial t$	$\tau =$ 10 წელს, Q=270 $\partial^3/\partial t$
1. 0+50	50 100	442.70	441.51	446.70	446.40	446.10	445.90	445.70	445.30
2. 1+00		442.51	441.48	446.50	446.20	445.90	445.70	445.40	445.00
3. 2.+00		442.10	441.24	446.10	445.80	445.50	445.30	445.00	444.60

4. 3+00	100 100 200 100 100 100 100 100 104 96 200 200 100 100 200 100 100 200 200	441.60	440.72	445.60	445.30	445.00	444.80	444.50	444.10
5. 4+00		441.00	440.09	445.10	444.70	444.40	444.20	443.90	443.50
6. 6+00		439.00	437.96	442.90	442.60	442.30	442.10	441.90	441.40
7. 7+00		438.30	437.12	441.90	441.60	441.40	441.20	440.90	440.50
8. 8+00		438.15	437.44	441.50	441.20	440.90	440.70	440.50	440.10
9. 9+00		436.65	435.97	440.00	439.70	439.40	439.20	439.00	438.60
10. 10+00		435.00	434.20	438.60	438.30	438.10	437.90	437.70	437.30
11. 11+04		433.10	432.18	437.00	436.70	436.50	436.20	436.00	435.60
12. 12+00		432.00	431.06	435.80	435.60	435.40	435.10	434.90	434.50
13. 14+00		429.50	428.55	433.30	433.10	432.80	432.50	432.30	431.30
14. 16+00		427.60	426.18	431.60	431.30	431.00	430.70	430.50	430.10
15. 17+00		427.10	426.06	430.60	430.30	430.00	429.70	429.50	429.10
16. 18+00		426.15	425.50	429.60	429.30	429.00	428.80	428.50	428.10
17. 20+00		423.56	422.41	427.80	427.50	427.20	426.90	426.70	426.20
18. 22+00	200 200 234 66 26	421.70	420.85	425.30	425.00	424.80	424.60	424.40	424.00
19. 24+00		421.55	421.00	424.40	424.10	423.90	423.70	423.50	423.10
20. 26+34		418.58	417.83	422.10	421.80	421.60	421.30	421.10	420.70
21. 27+00		417.60	416.72	421.40	421.10	420.90	420.70	420.50	420.10
22. 27+26		417.33	416.33	421.20	420.90	420.60	420.40	420.20	419.80

ცხრილში მოცემული წყლის დონეები პკ 27+00 და 27+26-ზე ასახავს წყლის დონეებს სააგრეგატო შენობის ტერიტორიის ნაპირდამცვა კედელთან

ნახაზებზე, მდინარის კალაპოტის განივ კვეთებზე დატანილია 100 წლიანი, 33 წლიანი და 10 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები ორივე შემთხვევისთვის.

მდინარის ჰიდრავლიკური ელემენტები, რომელთა მიხედვით განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის  $Q = f(H)$  დამოკიდებულების მრუდების აგება და მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დადგენა ორივე შემთხვევისთვის, მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილი 6 მდინარე ხრამის ჰიდრავლიკური ელემენტები საპროექტო უბანზე

ნიშნულები	კვეთის	კვეთის	ნაკადის	საშუალო	ნაკადის	ნაკადის	წყლის
ი	Fფართობი	სიგანე	სიღრმე	Qქანობი	სიჩქარე	ხარჯი	

მ.აბს.	ელემენტი	$\omega M \theta^2$	B გ	h გ	i	Mv გ/წგ	Q $\theta^3$ /წგ
განივი №22 პ 27+26							
417.33	კალაპოტი	10.4	15.5	0.67	0.0095	1.66	17.3
418.50	კალაპოტი	34.1	25.0	1.36	0.0095	2.66	90.7
419.50	კალაპოტი	62.8	32.5	1.93	0.0095	3.36	211
420.50	კალაპოტი	99.6	41.0	2.43	0.0095	3.93	391
421.50	კალაპოტი	143	46.0	3.11	0.0095	4.63	662
422.50	კალაპოტი	191	50.0	3.82	0.0095	5.32	1016
423.50	კალაპოტი	246	61.0	4.03	0.0095	5.51	1355
განივი №20 პ 26+34 L=92 გ.							
418.58	კალაპოტი	10.6	21.0	0.50	0.0136	1.63	17.3
420.00	კალაპოტი	48.9	33.0	1.48	0.0111	3.04	149
422.00	კალაპოტი	131	49.0	2.67	0.0100	4.29	562
424.00	კალაპოტი	244	64.0	3.81	0.0087	5.08	1240
განივი №19 პ 24+00 L=234 გ.							
421.55	კალაპოტი	13.6	37.0	0.37	0.0127	1.28	17.4
423.00	კალაპოტი	80.3	55.0	1.46	0.0106	2.95	237
425.00	კალაპოტი	200	65.0	3.08	0.0086	4.38	876
426.00	კალაპოტი	267	69.5	3.84	0.0080	4.90	1308
განივი №17 პ 20+00 L=400 გ.							
423.56	კალაპოტი	13.1	17.0	0.77	0.0050	1.32	17.3
425.00	კალაპოტი	43.0	24.5	1.76	0.0066	2.64	114
427.00	კალაპოტი	104	37.0	2.81	0.0082	4.02	418
428.00	კალაპოტი	146	47.3	3.09	0.0087	4.41	644
429.00	კალაპოტი	203	66.5	3.05	0.0095	4.57	928
განივი №16 პ 18+00 L=200 გ.							
426.15	კალაპოტი	11.8	27.0	0.44	0.0130	1.46	17.2
427.00	კალაპოტი	37.3	33.0	1.13	0.0115	2.59	96.6
429.00	კალაპოტი	115	44.5	2.58	0.0090	3.98	458
431.00	კალაპოტი	214	54.0	3.96	0.0082	5.06	1083
განივი №14 პ 16+00 L=200 გ.							
427.60	კალაპოტი	9.51	10.0	0.95	0.0072	1.82	17.3
429.00	კალაპოტი	36.8	29.0	1.27	0.0100	2.61	96.0
431.00	კალაპოტი	107	41.2	2.60	0.0100	4.22	452
433.00	კალაპოტი	207	59.2	3.50	0.0100	5.14	1064
განივი №13 პ 14+00 L=200 გ.							
429.50	კალაპოტი	10.8	17.0	0.64	0.0095	1.61	17.4
431.00	კალაპოტი	47.2	31.5	1.50	0.0088	2.74	129
433.00	კალაპოტი	127	48.0	2.64	0.0088	3.99	507
435.00	კალაპოტი	240	65.0	3.69	0.0088	5.00	1200
განივი №11 პ 11+04 L=296 გ.							
433.10	კალაპოტი	9.86	16.0	0.62	0.0122	1.78	17.5
434.00	კალაპოტი	25.6	19.0	1.35	0.0120	2.98	76.3
436.00	კალაპოტი	82.1	37.5	2.19	0.0125	4.20	345

438.00	კალაპოტი	176	56.0	3.14	0.0125	5.35	942
განივი №9 პკ 9+00 $L=204$ მ.							
436.65	კალაპოტი	10.0	22.0	0.45	0.0174	1.72	17.2
438.00	კალაპოტი	45.1	30.0	1.50	0.0154	3.62	163
440.00	კალაპოტი	117	42.0	2.78	0.0143	5.27	616
442.00	კალაპოტი	220	61.0	3.61	0.0151	6.45	1419
განივი №8 პკ 8+00 $L=100$ მ.							
438.15	კალაპოტი	10.5	22.0	0.48	0.0150	1.66	17.4
440.00	კალაპოტი	60.4	32.0	1.89	0.0150	4.17	252
442.00	კალაპოტი	150	58.0	2.59	0.0150	5.15	772
443.00	კალაპოტი	212	66.0	3.21	0.0141	5.76	1221
განივი №7 პკ 7+00 $L=100$ მ.							
438.30	კალაპოტი	23.7	30.0	0.79	0.0015	0.73	17.3
440.00	კალაპოტი	88.3	46.0	1.92	0.0038	2.12	187
442.00	კალაპოტი	190	55.5	3.42	0.0042	3.28	623
443.00	კალაპოტი	249	63.0	3.95	0.0050	3.94	981
განივი №6 პკ 6+00 $L=100$ მ.							
439.00	კალაპოტი	11.8	17.0	0.69	0.0070	1.45	17.1
441.00	კალაპოტი	61.8	33.0	1.87	0.0092	3.24	200
443.00	კალაპოტი	146	51.5	2.83	0.0096	4.37	638
445.00	კალაპოტი	281	84.0	3.34	0.0110	5.23	1470
განივი №5 პკ 4+00 $L=200$ მ.							
441.00	კალაპოტი	11.0	18.0	0.61	0.0100	1.60	17.6
443.00	კალაპოტი	54.0	25.0	2.16	0.0100	3.72	201
445.00	კალაპოტი	112	33.0	3.39	0.0107	5.21	584
447.00	კალაპოტი	187	42.0	4.45	0.0120	6.62	1238
განივი №3 პკ 2+00 $L=200$ მ.							
442.10	კალაპოტი	15.0	26.0	0.58	0.0055	1.14	17.1
444.00	კალაპოტი	72.0	34.0	2.12	0.0055	2.73	196
446.00	კალაპოტი	166	60.0	2.77	0.0057	3.32	551
448.00	კალაპოტი	301	75.0	4.01	0.0057	4.03	1213
განივი №1 პკ 0+50 $L=150$ მ.							
442.70	კალაპოტი	14.4	18.0	0.80	0.0040	1.21	17.4
444.00	კალაპოტი	52.1	40.0	1.30	0.0053	1.93	101
446.00	კალაპოტი	175	83.0	2.11	0.0043	2.40	420
448.00	კალაპოტი	342	84.0	4.07	0.0029	3.06	1046

## 2.4 მდინარე ხრამის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე, საპროექტო ჰესის განთავსების უბანზე

მდინარე ხრამის კალაპოტური პროცესები საპროექტო უბანზე შეუსწავლელია. ამიტომ, მისი კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია ვ. ლაპშენკოვის მონოგრაფიაში „პიდროკვანძების ბიეფებში მდინარეთა კალაპოტების დეფორმაციების პროგნოზირება“ (ლენინგრადი, 1979 წ).

აღნიშნული მეთოდის თანახმად კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე იანგარიშება ფორმულით

$$H_{sash.} = \left[ \frac{Q_{p\%} \cdot n^{2/3}}{B} \cdot \left( \frac{10}{d_{sash}} \right) \right]^{\frac{1}{1+2/3 \cdot y}} \theta$$

სადაც  $Q_{p\%}$  – საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, ჩვენ შემთხვევაში მდ. ხრამის 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯი წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან 500  $\text{m}^3/\text{წმ}$ -ის გადმოშვების შემთხვევაში ტოლია 1020  $\text{m}^3/\text{წმ}$ -ის, ხოლო მის გარეშე 520  $\text{m}^3/\text{წმ}$ -ის ;

$n$  – კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია, რაც 0,045-ის ტოლია;

$B$  – მდგრადი კალაპოტის სიგანეა, რაც დადგენილია შემდეგი სახის გამოსახულებით

$$B = A \cdot \frac{Q_{p\%}^{0,5}}{i^{0,2}}$$

სადაც  $A$  – განზომილებითი კოეფიციენტია, რომლის სიდიდე მერყეობს 0,9-დან 1,1-მდე. ჩვენ შემთხვევაში მისი სიდიდე აღებულია 1,0-ის ტოლი;

$Q_{p\%}$  – აქაც საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია;

$i$  – ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0,0095-ის ; აქედან, წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან 500  $\text{m}^3/\text{წმ}$ -ის გადმოშვების შემთხვევაში  $B = 81$  მეტრს, ხოლო მის გარეშე  $B = 60$  მეტრს;

$d_{sash}$  – კალაპოტის ამგები მყარი მასალის საშუალო დიამეტრია მ-ში. მისი სიდიდე განისაზღვრება გამოსახულებით

$$d_{sash} = 4,5 \cdot i^{0,9} \theta$$

აქ  $i$  – ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც 0,0095-ის ტლია. აქედან,  $d_{sash} = 0,07$  მ-ს ;

$y$  – 5. პავლოვსკის ფორმულაში შეზის კოეფიციენტის განმსაზღვრელი ხარისხის მაჩვენებელია. მისი სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

$$y = 2,5 \cdot \sqrt{n} - 0,13 - 0,75 \cdot \sqrt{R} \cdot (\sqrt{n} - 0,1)$$

სადაც  $R$  – ჰიდრავლიკური რადიუსია, რაც მდინარეებისთვის საშუალო სიღრმის ტოლია. ჩვენ შემთხვევაში, საპროექტო უბნის ჰიდრავლიკური ელემენტების ცხრილის მიხედვით, წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან 500  $\text{m}^3/\text{წმ}$ -ის გადმოშვების შემთხვევაში  $R = h = 3,45$  მ-ს, მის გარეშე კი  $R = h = 2,70$  მ-ს ;

$n$  – აქაც კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია; აქედან, პირველ შემთხვევაში  $y = 0,244$ -ს, მეორე შემთხვევაში კი  $y = 0,262$ -ს.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეყვანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე, რაც წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან 500  $\text{m}^3/\text{წმ}$ -ის გადმოშვების შემთხვევაში ტოლია 6,03-ის, მის გარეშე კი 4,31 მ-ის.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით

$$H_{\max} = 1,6 \cdot H_s$$

მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, მდ. ხრამის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე წყალსაცავის კატასტროფიული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ-ის გადმოშვების შემთხვევაში მიიღება 9,65 მ-ის, მის გარეშე კი 6,90 მ-ის ტოლი.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მიღებული მაქსიმალური სიღრმეები უნდა გადაიზომოს მდინარის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულებიდან ქვემოთ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე იანგარიშება მხოლოდ ალუვიურ კალაპოტებში წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას. მეთოდი არ ითვალისწინებს მდინარეების სიღრმული ეროზის პარამეტრების დადგენას ძირითად, კლდოვან ქანებში, სადაც სიღრმული ეროზის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამრიგად, თუ საპროექტო ნაგებობის უბანზე დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, ნაგებობა უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს.

## 2.5 ჰესის შენობა

„ნახიდური ჰესი”-ს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, ჰესის შენობაში განთავსდება კვლავ ორი ერთეული, ფრენსისის ტიპის ჰორიზონტალურღერძიანი ტურბინა. საპროექტო ცვლილებების მიხედვით, შეიცვალა ჰესის შენობის ცალკეული პარამეტრები, ხოლო დანარჩენი გამყვანი არხის, ტურბინების და გენერატორების პარამეტრები დარჩა უცვლელი.

როგორც აღინიშნა, საპროექტო ცვლილებების მიხედვით, საჭირო გახდა პროექტის საწყის ვარიანტში გარკვეული ცვლილებების შეტანა ჰესის სააგრეგატე შენობის ნაწილშიც. კერძოდ, თავდაპირველი პროექტის მიხედვით, ჰესის სააგრეგატე შენობის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთის ზომები განსაზღვრული იყო აღნიშნულ ნაკვეთში სააგრეგატე შენობის დატევის მოთხოვნით. შესაბამისად, ნაკვეთის ზომები მხოლოდ მცირედით აღემატებოდა სააგრეგატე შენობის ზომებს. როგორც პროექტის ექსპერტიზის პროცესში გაირკვა, ჰესის სააგრეგატე შენობის მოსაწყობად გამოყოფილი ნაკვეთის ფართობი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. „K1“ კოეფიციენტის მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა, რომ ნაკვეთის ფართობი მნიშვნელოვნად აღემატებოდეს სააგრეგატე შენობის მიერ უშუალოდ დაკავებულ ფართობს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა სააგრეგატე შენობისათვის გამოყოფილი ფართობის გაზრდა და ამ მიზნით დამატებითი ნაკვეთის გამოყოფა. საერთო ჯამში ე.წ. K1 კოეფიციენტის გათვალისწინებით საჭირო გახდა 3998 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის დამატება.

საპროექტო ცვლილებების მიხედვით, უშუალოდ ჰესის შენობის მიერ ასათვისებელი მიწის ნაკვეთის ფართი იქნება 820 მ<sup>2</sup>, პირვანდელი პროექტით (გზშ-ის ანგარიშის მიხედვით), ჰესის შენობის მიერ დასაკავებელი ფართი იყო 756 მ<sup>2</sup>, შესაბამისად საპროექტო ცვლილებებით ჰესის შენობის მიერ დასაკავებელი მიწის ნაკვეთის ფართი გაიზარდა 64 მ<sup>2</sup> (იხ. თანდართული Shp ფაილი).

ჰესის სააგრეგატე შენობის გაბარიტული ზომები და კონსტრუქცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია, ამ სააგრეგატე შენობაში დასამონტაჟებელი ტურბინის ტიპზე, ზომებსა და კონსტრუქციაზე. როგორც აღინიშნა, „ნახიდური ჰესის“ სააგრეგატე შენობაში გათვალისწინებულია 2 ცალი, ჰორიზონტალურ ღერეძიანი, ფრენსისის ტიპის ტურბინა.

**პროექტის მიხედვით, ჰესის სააგრეგატე შენობა დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:**

**ტურბინა-აგრეგატების სამონტაჟე დარბაზი:** გეგმაში დარბაზის შიდა ზომები შეადგენს  $13,3 \times 28,0$  მ.-ს. დარბაზის ძირი წარმოადგენს, მასიურ, არმირებული ბეტონის ფილას.

ტურბინა-გენერატორების დარბაზისა და სამონტაჟო მოედნის თავზე, სპეციალურად მოწყობილ ამწის სავალ კოჭებზე, გადაადგილდება ამწე-კრანი, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს სააგრეგატე შენობაში არსებული მოწყობილობის დემონტაჟი-მონტაჟი. სააგრეგატე-შენობაში განთავსებული მოწყობილობიდან ყველაზე მძიმე ნაწილს წარმოადგენს ტურბინის გენერატორი, რომლის წონის მიხედვითაც განისაზღვრა ჰესის სააგრეგატე შენობაში დამონტაჟებული ამწე-კრანის ტვირთამწეობა.


ტურბინა-გენერატორების დარბაზი და მის გვერდზე მოწყობილი სამონტაჟო მოედანი გადახურული იქნება ფილადის მილკვადრატებისაგან მოწყობილ ფერმებზე დამონტაჟებული მეტალოკრამიტით.


**სამონტაჟე მოედანი:** სამონტაჟო მოედანის იატაკი განთავსებულია 2,5 მ.-ით უფრო მაღლა ტურბინა-აგრეგატების დარბაზის იატაკის ფილასთან შედარებით. მოედანზე ეწყობა არმირებული მონოლითური ბეტონის ფილა, რომელიც უძლებს სამონტაჟო მოედანზე, მძიმედ დატვირთული სატვირთო ავტომობილების გადაადგილებას. აღნიშნულ ფილას ეყრდნობა 4 ცალი, ამწის სამოძრაო კოჭის საყრდენი კოლონა. სატვირთო ავტომობილების შესასვლელად სამონტაჟო მოედანზე მოწყობილია 4,5-მ სიგანის და 4,8 მ. სიმაღლის რკინის ორფრთიანი კარები.

**სამომსახურეო მიშენება:** სამომსახურეო მიშენება ეწყობა ტურბინა-გენერატორების დარბაზის უკანა მხარეზე. მიშენების შიდა ზომებია  $5,2 \times 34,4$  მ. სამომსახურეო მიშენების სიმაღლე, იატაკიდან ჭერის ჭერის ფილამდე შეადგენს 4,5 მ.-ს. ასეთი მაღალი სამომსახურეო მიშენების მოწყობის აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სამომსახურეო მიშენებაში, კერძოდ ელექტროკარადების სათავსოში განსათავსებელი ელექტროკარადების სიმაღლე საკმაოდ დიდია და თანაც, კარადის თავიდან სათავსოს ჭერამდე უნდა დარჩეს საკმაო მანძილი კარადის სრულყოფილი ვენტილაციისათვის.


**სატრანსფორმატორი ქვესადგური:** სატრანსფორმატორი ქვესადგური ეწყობა სამომსახურეო მიშენების უკანა მხარეზე. ტრანსფორმატორები, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოყოფილია სააგრეგატე შენობის მიმდებარე ნაწილისაგან, მონოლითური რკინაბეტონის ცეცხლგამძლე კედლით.

## ნახაზი 8 ჰესის შენობის გეგმა და ჭრილი





პრილი 1-1:



ნახაზი 9 პესის შენობის რენდერები







### **3 „ნახიდურიჰესის“ ტერიტორიის ფონური მდგომარეობა და საპროექტო ცვლილებებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება**

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში ეხება ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, საპროექტო „ნახიდურიჰესი“-ს მშენებლობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებით მოსალოდნელ ზემოქმედებებს, გარემოს სხვადასხვა კომპონენტების მიმართ.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) საქმიანობის მახასიათებლები:
  - ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
  - ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
  - ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
  - ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
  - ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
  - ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
  - ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
  - ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
  - ბ.გ) ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
  - ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
  - ბ.ე) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
  - ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
  - გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
  - გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

როგორც აღინიშნა, შპს „ნახიდურიჰესი“-ს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მომზადებულია გზშ-ის ანგარიში, სადაც დეტალურად განხილულია საქმიანობით მოსალოდნელი ზემოქმედებები, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზისთვის. წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში განხილული ზემოქმედებები ეხება მხოლოდ საპროექტო ცვლილებებს.

დაგეგმილი საქმიანობის ხასიათის, ადგილმდებარეობის და მასშტაბების გათვალისწინებით წინამდებარე სკრინინგში განხილვიდან ამოღებულია რამდენიმე საკითხი, რომელიც მოცემულია ცხრილში 4

#### **ცხრილი 4 ზემოქმედების განხილვიდან ამოღებული საკითხები**

N	ზემოქმედების სახე	ზემოქმედების განხილვიდან ამოღების საფუძველი
---	-------------------	---

1	მოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიასთან	ჭარბტენიანი ტერიტორიების დაშორების მანძილს გათვალისწინებით, ამ მხრივ ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
2.	ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლთან	შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაშორების მანძილს გათვალისწინებით, ამ მხრივ ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
3	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის და ხასიათის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის
4	მიწის საკუთრება და გამოყენება	საპროექტო ცვლილებებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთები სახელმწოფო საკუთრებაშია, შესაბამისად პროექტის განხორციელებით ფიზიკური ან ეკონიმიკური განსახლება არ არის მოსალოდნელი.
5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;	საპროექტო ცვლილებებით, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები ძლიან დაბალია.
6	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან	საპროექტო ცვლილებების განსახორციელებელი უბნის დაშორების მანძილის გათვალისწინებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
7	ზემოქმედება სოციალურ- ეკონომიკურ გარემოზე და სატრანსპორტო ნაკადზე	საპროექტო ცვლილებების განხორციელება დამატებით სამუშაო ძალების მობილიზებასთან ან სატრანსპორტო ოპერაციების ზრდასთან დაკავშირებული არ არის.
8	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე	საპროექტო ცვლილებების მიხედვით გზშ-ის ანგარიშისგან განსხვავებულ ზემოქმედებას სატრანსპორტო ნაკადზე არ გულისხმობს
9	ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები	საპროექტო ცვლილებების მიხედვით გზშ-ის ანგარიშისგან განსხვავებულ ზემოქმედებას ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები არ გულისხმობს
10	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	საპროექტო ცვლილებების მიხედვით გზშ-ის ანგარიში განხილული ზემოქმედებისგან განსხვავებული ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის მხრივ მოსალოდნელი არ არის. გზშ-ის ანგარიშს ასევე თან ერთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პოზიცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით (იხ. გზშ-ის დანართი 1 გვ. 314)
11	კუმულაციური ზემოქმედება	საპროექტო ცვლილებების მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედება გზშ-ის ანგარიში განხილული ზემოქმედებისგან განსხვავებული არ იქნება.

### **3.1 ხმაურით და ემისიების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება**

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ემისიების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედებისგან განსხვავებული არ იქნება, მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან, რადგან საპროექტო ცვლილებები დამატებით ხმაურის და ემისიების სტაციონალური წყაროების მობილიზებას არ გულისხმობს.

საპროექტო ცვლილებებით განსაზღვრული სამშენებლო მოედნები, დასახლებული პუნქტიდან დიდი მანძილით არის დაშორებული, შესაბამისად არც მველი და არც ახალი პროექტით ადგილობრივი მაცხოვრებლების შეწუხების რისკი არ იქნება მაღალი, რაც შეეხება ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას საპროექტო ცვლილებების შედეგად, გაზრდილი უბნების ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების ხასიათი გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული ზემოქმედებებისგან განსხვავებული არ იქნება, შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში განხილული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, უზრუნველყოფს ზემოქმედებების მასშტაბების შემცირებას.

საერთო ჯამში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, საპროექტო ცვლილებებით დიდად განსხვავებული არ იქნება პირველადი პროექტისგან, შესაბამისად დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების საჭიროება არ არსებობს.

### **3.2 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე**

საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით ტერიტორია მოქცეულია სამხრეთი საქართველოს მთიანი ზონის საშუალო სიმაღლის მთა-ხეობებიანი რელიეფის ქვეზონას, აღმავალი მოძრაობებით, რომელიც განვითარებულია მესამეულ ვულკანოგენურ წყებების ნაოჭა სტრუქტურებზე და საშუალომთიანი ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი განვითარებული იურულ და ცარცულ წყებებზე. აღნიშნულ მორფოლოგიურ რაიონებში განვითარებულია ძირითადად აკუმულაციური და დენუდაციური პროცესები, ხოლო იშვიათად ვაწყდებით ეროზიულ მოვლენებს.

შესწავლილ რაიონს ჩრდილოეთით ესაზღვრება თრიალეთის ქედი, სამხრეთით სომხეთის მთიანეთი. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია ნეოგენური პლეიისტოცენური ბაზალტური ლავების განფენებით და ნაკადებით, რის გამოც რელიეფს ძირითადად პლატოს ფორმა აქვს, სუსტად გამოხატული გორაკ-ბორცვებიანი რელიეფი. აღნიშნულ რელიეფი ჩახერხილია მდინარეების მიერ, რომლებიც ქმნიან კანიონებს.

რაიონის ტექტონიკური და გეოლოგიური აგებულების ნაირგვარობიდან გამომდინარე ართვინ-ბოლნისის ბელტის ფარგლებში გამოყოფილია რელიეფის რამოდენიმე მორფოლოგიური ერთეული. საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება ეროზიულ-დენუდაციური რელიეფის ტიპს, რომელიც მოქცეულია ართვინ-ბოლნისის ბელტის ფარგლებში. სადაც გამოყოფილია რამოდენიმე რელიეფის ქვეტიპი:

- საშუალომთიანი რელიეფი, განვითარებული ზედა ეოცენურ ვულკანოგენურ წარმონაქმნებში - გამოირჩევა გრძელი და ღრმა მდინარის ხეობებით, ციცაბო ფერდობებით, მრავალრიცხვანი ხევებითა და ხეობებით;
- საშუალო და დაბალმთიანი რელიეფი, განვითარებული ზედა ცარცულ ნალექებში - გამოირჩევა მოსწორებული პლატოსებრი რელიეფით, კანიონისებური ხეობებით, ფერდობებზე განვითარებულია ეროზიული, აკუმულაციურ-დენუდაციური პროცესები და ქვათაცვენები.

- საშუალომთიანი რელიეფი, განვითარებული ზედა ცარცულ კირქვებში - მოსწორებული პლატოსებრი რელიეფით, კანიონისებური ხეობებით, ფერდობებზე განვითარებულია ეროზიული, აკუმულაციურ-დენუდაციური პროცესები და ქვათაცვენები.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი ტერიტორია მოიცავს სამივე მორფოლოგიურ ტიპს.

უშუალოდ ხრამის ხეობა საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში კანიონისებურია. ზოგ ადგილებში ფართო ჭალით. ფერდობები დაფარულია დელუვიურ-კოლუვიური ნალექებით. ფიქსირდება ქვათაცვენები. კარნიზები, სადაც ფიქსირდება დენუდაციური უბნები. ლავური ამაღლებები. ხოლო ტერიტორია დასერილია მცირე ზომის მრავალრიცხოვანი ხევებით.

საველე და ლაბორატორიული კვლევებით შესწავლილ უბანზე გამოყოფილია 10 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

სგე 1 - თიხა მომწვანო-ყავისფერი-მონაცრისფრო, ნახევრადმყარი, კარბონატული, მცირე სიმძლავრის ჭვიშის და თიხაქვიშის ლინზებით და შუაშრეებით, ხვინჭის და ღორღის 10%-მდე ჩანართებით – შესწავლილია 4 მონოლითური ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით.

სგე 2 - თიხნარი ყავისფერი-მონაცრისფრო, მყარი, კარბონატული, მცირე სიმძლავრის ჭვიშის და თიხაქვიშის ლინზებით და შუაშრეებით, ხვინჭის და ღორღის 10-15%-მდე და იშვიათად კენჭების ჩანართებით - შესწავლილია 3 მონოლითური ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

სგე 3 - თიხაქვიშა ყავისფერი-მონაცრისფრო, მყარი, კარბონატული, თიხის და თიხნარის თხელი ლინზებით და შუაშრეებით - შესწავლილია 3 მონოლითური ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

სგე 4 - ხრეშოვანი (55%-60% 2მმ-ზე მეტი ფრაქცია) გრუნტი, მოყავისფრო მყარი კონსისტენციის თიხაქვიშის შემავსებლით, კარბონატული, თიხის და თიხნარის 7-10სმ სიმძლავრის შუაშრეებით და ლინზებით - შესწავლილია 3 დაშლილი ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

სგე 5 - ღორღოვანი (60%-60% 10მმ-ზე მეტი ფრაქცია) გრუნტი, მოყავისფრო-მოყვითალო მყარი კონსისტენციის თიხაქვიშის შემავსებლით, კარბონატული - შესწავლილია 3 მონოლითური ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

სგე 6 - კენჭოვანი (55%-60% 10მმ-ზე მეტი ფრაქცია), კაჭარის 20%-25% ჩანართებით, მონაცრისფრო მსხვილი და უხეშმარცვლოვანი არაერთგვაროვანი ქვიშის, სუსტად კარბონატული, შემავსებლით - შესწავლილია დაშლილი სტრუქტურის 4 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;


სგე 7- ღოდოვანი (>50%-ზე 500 მმ-ზე მეტი ფრაქცია) გრუნტი, რიყნარის და კენჭის ჩანართებით, კარბონატული, მოყვითალო მყარი კონსისტენციის თიხნარის ჩანართებით - შესწავლილია დაშლილი სტრუქტურის 3 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

სგე 8 - ძლიერ გამოფიტული (ელუვირებული) ტუფობრექჩია, მოყვითალო-მოწითალო შეფერილობის, ზოგან გათიხებული, კერნი ამოდის ღორღის სახით - შესწავლილია 14 მონოლითური ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

სგე 9 - გამოფიტული ტუფობრექჩია, მოყვითალო-მოწითალო შეფერილობის, დანაპრალიანებული, კერნი ზოგან ამოდის ღორღის სახით - შესწავლილია 6 მონოლითური ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

სგე 10 - მერგელი, მომწვანო-მონაცრისფრო, ძლიერ გამოფიტული, ელუვირებული, გათიხებული, თხელშრეებრივი და ფურცლოვანი, შრეებშუა ჟანგისფერი და იშვიათად თეთრი ლაქებით, კარბონატული, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით - შესწავლილია 3 მონოლითური ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით;

## რუკა 1 უბნის გეოლოგიური რუკა



როგორც ზედა თავებში აღინიშნა, „ნახიდურიჰესის“ საპროექტო ცვლილებების მიხედვით, სათავე ნაგებობის და აკვედუკის განთავსების უბნები არ იცვლება, ცვლილებებით არც მიღვადენის ღერძი იცვლება, თუმცა გაზრდილია მიღვადენის ბუფერი და ჰესის შენობის განთავსების არეალი და დამატებულია მისასვლელი გზა ჰესის შენობასთან და მიღვადენის ტრასასთან, ასევე ნაპირსამაგრი. საპროექტო ცვლილებების მიხედვით, საერთო ჯამში ის სამონიტორინგო და შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის ზემოქმედების სახეები არ განსხვავდება იმისგან, რაც მოცემული და განხილულია გზშ-ის ანგარიშში, ამასთან უშუალოდ ხრამის ხეობის გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე „ნახიდურიჰესის“ სამშენებლო სამუშაოები საჭიროა განხორციელდეს მუდმივად ინჟინერ-გეოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც ადგილზე შეაფასებს მოსალოდნელ ზემოქმედებას და პოტენციური საშიში გეოდინამიკური პროცესების შესაბამისად, ადგილზევე შეიმუშავებს შემარბილებელ ღონისძიებებს.

### 3.3 ზემოქმედება გრუნტზე და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანება და სტაბილურობის დარღვევა ძირითადად მოსალოდნელია მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების დროს, რაც დაკავშირებული იქნება საპროექტო დერეფანში ხე-მცენარეების გაჩეხვასთან, ტექნიკის

გადაადგილებასთან, მიწის სამუშაოებთან, დროებითი და მუდმივი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან და ასევე ფუჭი ქანების საბოლოო განთავსებასთან.

საპროექტო ცვლილებებით, დამატებით საჭირო გახდა მისადენის ბუფერის და ჰესის შენობის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთის გაფართოვება, ახალი მისასვლელი გზების მოწყობა, რამაც თავისთავად გამოიწვია გრუნტის მოცულობის ზრდა. პროექტის საწყისი ვარიანტის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის გაყვანისას, სადაწნეო მილსადენის თაროსა და ტრანშეის მოსაწყობად მუშავდებოდა 15 3600 მ<sup>3</sup> გრუნტი. საბოლოო ვარიანტის მიხედვით სადაწნეო მილსადენის ტრასაზე მუშავდება 159 ათასი მ<sup>3</sup> გრუნტი, ანუ დასამუშავებელი გრუნტის მოცულობა გაიზარდა 5400 მ<sup>3</sup>-ით, ხოლო მისასვლელი გზების მოსაწყობად დასამუშავებელია დაახლოებით 6100 მ<sup>3</sup> მოცულობის გრუნტი. რაც შეეხება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებას, იქიდან გამომდინარე, რომ მდინარე ხრამის ხეობის საპროექტო ცვლილებების მონაკვეთი არ გამოირჩევა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიუხვით, სამშენებლო სამუშაოების წინა მოსამზადებელი ღონისძიებების შესრულებისას, ისეთ უბნებზე სადაც შესაძლებელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მოიხსნება და დასაწყობდება შემდგომი სარეკულტივაციო სამუშაოების შესასრულებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ძირითადი ღონისძიებების გატარების დროს რაც დაკავშირებული იქნება, ნიადაგის ნაყოფიერ ფენასთან და გრუნტის მოხსნასთან საჭირო იქნება, ყველა იმ შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რაც მოცემულია გზშ-ის ანგარიშში.

საპროექტო ცვლილებების მიხედვით, ვინაიდან გაზრდილი ბუფერის და მისასველი გზის მოსაწაყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთები არ გამოირჩევიანი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიუხვით, ზოგადად საპროექტო ტერიტორიის მიდებარდ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საშუალო სიღრმე კი შეადგენს 10-12 სმ-ს, პროექტის ფარგლებში ჯამში შესაძლებელია დაახლოებით 2324 მ<sup>3</sup> ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, საიდანაც 1974 მ<sup>3</sup> მოხსნა გათვალისწებული იყო პირვანდელი პროექტის ფარგლებში (გზშ-ის ანგარიშით), შესაბამისად საპროექტო ცვლილებებით მოსალოდნელია დაახლოებით 300-350 მ<sup>3</sup> ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. პროექტის ფარგლებში მოსახნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით, გამოიყენება სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის. ამავე დაგენილების შესაბამისად რეკულტივაციას ექვემდებარება, ყველა კატეგორიის დაზიანებული და დეგრადირებული ნიადაგი, ასევე მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთები, რომლებმაც დაზიანებული და დარღვეული ნიადაგების უარყოფითი ზემოქმედების შედეგად ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგეს პროდუქტიულობა.

ზოგადად გრუნტის და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების მასშტაბები და ხარისხი, გზშ-ის ანგარიშში განხილული ზემოქმედებისგან განსხვავებული არ იქნება, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საპროექტო ცვლილებები ახალი სანაყაროების მოწყობას არ გულისხმობს. სულ პროექტის ფარგლებში ჯამში (მათ შორის არის საპროექტო ცვლილებებით განსაზღვრული უბნებიც) მოიხსნება, 174 400 მ<sup>3</sup> გრუნტი, საიდანაც სანაყაროზე განთავსდება 98 500 მ<sup>3</sup> გრუნტი, ხოლო უკუყრილებისთვის გამოიყენებული იქნება 75 900 მ<sup>3</sup> გრუნტი.

### 3.4 ზემოქმედება წყლის გარემოზე

სამშენებლო სამუშაოების პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების, ასევე ნარჩენების მართვასა და ტექნიკის გამართულობაზე დაწესებულ მონიტორინგის ხარისხზე. აღნიშნული კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ნიადაგის/გრუნტის და გრუნტის წყლების დაცვა დაბინძურებისაგან. შესაბამისი გარემოსდაცვითი ღონისძიებების სათანადოდ გატარების შემთხვევაში გავლენის ზონაში მოქცეული ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდე შემცირდება.

მნიშვნელოვანია მდ. ხრამი განსახილველ მონაკვეთში უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ მაღალი ხარჯით ხასიათდება და შესაბამისად არსებობს დამაბინძურებელი ნივთიერებების განზავების შედარებით მაღალი შესაძლებლობა ავარიული და გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს.

საპროექტო ცვლილებების მიხედვით, სანიაღვრე წყლების წარმოიქნა მოსალოდნელი არ არის, შესაბამისად ამ მხრივ ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ცვლილების შედეგად, დროებითი ზემოქმედება მოსალოდნელია საავტომობილო გადასასვლელის მოწყობისას, თუმცა იმ შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, რომელიც მოქცეულია გზშ-ის ანგარიშში, შესაძლებელი იქნება ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

ზოგადად ჰესის სამშენებლო სამუშაოების დროს, მდინარის წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების გარკვეული რისკები არსებობს სათავე და ძალური კვანძის სამშენებლო მოედანზე, მისასვლელი გზების, ასევე სადაწნეო მილსადენის და აკვედუკის განთავსებისათვის თხრილების მომზადების პროცესში.

გარდა ამისა, მყარი და თხევადი (მათ შორის სამეურნეო-ფეკალური წყლები) ნარჩენების არასწორი მენეჯმენტის და საწვავის/ზეთის შემთხვევითი ჩაღვრის შედეგად არსებობს სხვადასხვა დამაბინძურებლების გავრცელების საშიშროება.

ზედაპირული წყლების ხარისხის გაუარესება გამოიწვევს სხვადასხვა სახის ირიბ ზემოქმედებას, მათ შორის აღსანიშნავია თევზების და მდინარეში მობინადრე უხერხემლოების საცხოვრებელი გარემოს გაუარესება, გრუნტის წყლების ხარისხობრივი მდგომარეობის შეცვლა და სხვ.

საერთო ჯამში, ის ცვლილებები, რომლებმაც გამოიწვიეს ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ჰესის საერთო ჯამში მოსალოდნელი ზემოქმედებებისგან, რომლებიც განხილული იყო გზშ-ის ანგარიშში არ განსხვავდება, შესაბამისად ის შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებები, რომლებიც მოცემულია გზშ-ის ანგარიშში, ანალოგიურია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაშიც.

### 3.5 ბიოლოგიური გარემო

#### 3.5.1 ფლორა

წარმოდგენილ, ფლორისტული კვლევის ამსახველ დოკუმენტში შეფასებულია ქვემო ქართლის ბარის გეობოტანიკური რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ, ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტ სოფ. ნახიდურის მახლობლად დაგეგმილი

„ნახიდურიპესის“ საპროექტო ცვლილებების უბნის მცენარეული შემადგენლობის დახასიათება.

აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი სამშენებლო საპროექტო ტერიტორიის სიახლოეს არ ვხვდებით რაიმე დაცულ ტერიტორიას, იქნება ეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თუ საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2022 წლის აგვისტოს თვეში.

### 3.5.1.1 რეგიონის ზოგადი დახასიათება

რ. ქვაჩაკიძე 2010, „საქართველოს გეობოტანიკური დახასიათების“ მიხედვით საპროექტო ტერიტორიის დერეფანი მდებარეობს ქვემო ქართლის ბარის გეობოტანიკური რაიონის ტერიტორიაზე. რაიონის ტერიტორიაზე განვითარებული მცენარეული საფარი, მიუხედავად შეზღუდული ფართობისა, ტიპოლოგიური სტრუქტურისა და განვითარების ისტორიის, აგრეთვე თანამედროვე სუქცესიური ცვლის თვალსაზრისით, ძალზე მრავალფეროვან და რთულ სურათს იძლევა.

ტყის მცენარეულობა ფიტოცენოლოგიურად მრავალფეროვანია. ტერიტორიის ყველაზე მაღალ ნაწილში (თეთრი წყაროსა და დიდველის პლატოები) განვითარებულია მთის ტყეები, რომელთა შემადგენლობაში ჭარბობს ქართული მუხის (*Quercus iberica*) და მაღალმთის მუხის (*Quercus macranthera*) მიერ შექმნილი მონოდომინანტური ტყეები. საყურადღებოა, რომ მაღალმთის მუხა რეგიონში (ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთ თრიალეთში) ძალზე დაბლა ეშვება. აქვე გავრცელებულია რცხილნარ-მუხნარი (*Quercus iberica* + *Carpinus caucasica*) და პოლიდომინანტური ფოთლოვანი ტყის კორომები (ქართული და მაღალმთის მუხები - *Quercus iberica*, *Q. macranthera*, იფანი - *Fraxinus excelsior*, რცხილა - *Carpinus betulus*, ცაცხვი - *Tilia begonifolia*, მინდვრის ნეკერჩხალი - *Acer campestre*).

რაიონის ტერიტორიაზე (ძირითადად მდ. ხრამისა და ალგეთის აუზებში) შემორჩენილია არიდული მეჩხერი ტყის ნაშთები - საკმლის ხიანის (*Pistacia mutica*) და აკაკიანის (*Celtis caucasica*) მომცრო კორომები. მათ შემადგენლობაში მონაწილეობს არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყისათვის დამახასიათებელი მრავალი სახეობა - ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum*), ჰირკანული ნეკერჩხალი (*Acer hyrcanum*), შავჯაგა (*Rhamnus pallasii*), ძეძვი (*Paliurus spina-christi*), თრიმლი (*Cotinus coggygria*), თუთუბო (*Rhus coriaria*), ქართული ცხრატყავა (*Lonicera iberica*), ჟასმინი (*Jasminum fruticans*) და სხვ.

მდ. მტკვრისა და ხრამის ჭალებში შემორჩენილია (განადგურებას გადაურჩა) ოდესლაც ვრცელი ჭალის ტყეების ნაშთები - ტირიფნარი (*Salix excelsa*, *S. alba*, *S. pseudomedemii*) და ვერხნარ-ტირიფნარი (*Salix excelsa* + *Populus censcens* + *P. nigra*), მათი ფიტოცენოზების დამახასიათებელი სახეობებით (თელა - *Ulmus minor*, ჭალის მუხა - *Quercus pedunculiflora*, თუთა - *Morus alba*, შინდანწლა - *Swida austalis*, იალღუნი - *Tamarix ramosissima*, კვრინჩხი - *Prunus spinosa*, ღვედკეცი - *Periploca graeca*, მაყვალი - *Rubus anatolicus*, ქაცვი - *Hippophae rhamnoides*, კატაბარდა - *Clematis orientalis*, და სხვ.).

ჰემიქსეროფილური და ქსეროფილური ბუჩქნარები გავრცელებულია სერების ფერდობებზე და პლატოებზე, შემადგენლობაში მონაწილეობს მრავალი ფორმაცია - ძებვიანები (*Paliurus spina-christi*), გრაკლიანები (*Spiraea hypericifolia*), შავჯაგიანები (*Rhamnus palasii*), ჯაგრცხილიანები (*Carpinus orientalis*), ნაირბუჩქნარები და სხვ. ეროზიულ მშრალ ფერდობებზე გავრცელებულია გლერძიანები (*Astragalus microcephalus*) და ზღარბიანები (*Acantholimon lepturoides*).

გარდა ზემოთხესენებულისა რაიონში ვხვდებით, ასევე სტეპის მცენარეულობას, ნახევრად უდაბნოს მცენარეულობასა და ჭაობის მცენარეულობას.

აღსანიშნავია ასევე, რომ ფიტოცენოზებში (ძირითადად ბალახნარებში) უხვად ვითარდება ეფემერები და ერთწლოვანი მცენარეები - *Bromus japonicus*, *Echinaria capitata*, *Medicago minima*, *Poa bulbosa*, *Salvia viridis*, *Trachynia distachya*, *Trifolium arvense* და მრავალი სხვა. ადრე გაზაფხულზე ფიტოცენოზებში ვითარდება ულამაზესი გეოფიტები - ზამბახები (*Iris iberica*, *I. pumila*), ჩიტისთავა (*Gagea commutata*) და სხვ.

### 3.5.1.2 კვლევის მეთოდოლოგია

ფლორისტული შეფასება მოიცავს მთლიან საპროექტო დერეფანში და მათ შორის საპროექტო ცვლილებებით განსაზღვრულ უბნებში შეხვედრილ მცენარეთა და ჰაბიტატების აღწერა-იდენტიფიკაციას.

მცენარეთა სახეობების იდენტიფიკაციასთან ერთად განისაზღვრა საფრთხის და ენდემურობის სტატუსები შესაბამისი სახეობებისთვის.

მცენარეთა სახეობრივი იდენტიფიკაცია მოხდა „საქართველოს ფლორის“ (კეცხოველი, განვიძე, 1971-2001) და სხვა არსებული ფლორისტული ნუსხების (Czerepanov, 1995; Gagnidze, 2005) მიხედვით. ტაქსონომიური მონაცემები და სახეობათა ნომენკლატურის ვალიდურობა გადამოწმებულ იქნა მცენარეთა ტაქსონომიის საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში (The Plant List Vers. 1, 2010). საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ ჰაბიტატის ტიპებში სახეობათა გავრცელების ფლორისტული და გეობორტანიკური მახასიათებლები დაზუსტდა საქართველოს ტყეებზე და მცენარეულ საფარზე არსებული წყაროებით (კეცხოველი, 1960; გიგაური, 2000; Akhalkatsi, Tarkhnishvili, 2012). მცენარეთა სახეობებისთვის საფრთხის კატეგორიების განსაზღვრა მოხდა საქართველოს წითელი ნუსხით (2014 წლის 190 დადგენილება).

ჰაბიტატების ტიპი განსაზღვრულ იქნა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System), EUNIS-ის ჰაბიტატთა კლასიფიკაცია სრულად არ არის ადაპტირებული საქართველოში გავრცელებული ჰაბიტატების ტიპებისთვის, თუმცა უკვე არსებობს პირველადი მონაცემები, რომელთა გამოყენებითაც მოხდა მოცემული კლასიფიკაცია. საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული ჰაბიტატების იდენტიფიცირება EUNIS-ის ჰაბიტატთა კატეგორიების შესაბამისად, განხორციელდა ლიტერატურული წყაროს: „საქართველოს ხმელეთის ჰაბიტატები EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბაცაცაშვილი, აბდალაძე, 2017). აღნიშნულ კლასიფიკაციის წყაროსთან ერთად (მეტი სიზუსტისთვის) გამოყენებულ და განსაზღვრულ იქნა ჰაბიტატები საქართველოს ჰაბიტატების (მ. ახალკაცი, 2010) მიხედვითაც.

### 3.5.1.3 საპროექტო დერეფანში წარმოდგენილი ჰაბიტატებისა და მცენარეული საფარის დახასიათება

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ საპროექტო დერეფანში როგორც გზშ-ის ანგარიშში იყო განხილული კვეთს 3 ტიპის ჰაბიტატს, შესაბამისიად საპროექტო ცვლილებას უკვე განხილული ჰაბიტატებისგან განსახვევული ჰაბიტატების ათვისება არ გამოუვლენია. დაფიქსირებული ჰაბიტატებია: ძეგვინი ბუჩქნარი, მდინარისპირა მცენარეებით დაფარული ზოლი წარმოდგენილი ვერხვებითა და ტირიფებით (მათ შორის მუხები) და მეორეული გზის დერეფანი (ანთროპოგენური ჰაბიტატი), რომლებიც ევროპის ბუნების

ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System), EUNIS-ის ჰაბიტატების ნუსხის მიხედვით კლასიფირდება შემდეგ ჰაბიტატებად:

- F3.2 ხმელთაშუაზღვისპირული ფოთოლმცვენი ბუჩქნარი
- G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე
- J აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთროპოგენური ჰაბიტატები

უფრო დეტალურად კი თითოეულ მათგანში მოიაზრება საქართველოს ჰაბიტატების (Akhalkatsi, Tarkhnishvili, 2012) კოდების მიხედვით შემდეგი ჰაბიტატები:

- 50GE2 ძემვიანი ბუჩქნარი
- 91F0 ჭალის შერეული ტყე
- 62GE04 სასოფლო-სამეურნეო დასახლებებისა და სავარგულების მცენარეულობა

თითოეულ გამოვლენილ ჰაბიტატში წარმოდგენილი მცენარეთა ძირითადი შემადგენლობის ნუსხა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

#### **ცხრილი 7 F3.2 ჰაბიტატის ძირითადი მცენარეული საფარის შემადგენლობის ნუსხა**

ჰაბიტატი: 50GE2 ძემვიანი ბუჩქნარი - F3.2 ხმელთაშუაზღვისპირული ფოთოლმცვენი ბუჩქნარი			
სახეობათა ნუსხა			
ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება
<i>Paliurus spina-christi</i>	ძემვი	<i>Spiraea hypericifolia</i>	გრაკლა
<i>Rhamnus palasii</i>	შავჯაგა	<i>Caragana grandiflora</i>	უძრახელა
<i>Cotinus coggygria</i>	თრიმლი	<i>Cotoneaster nummularius</i>	ჩიტაკომშა
<i>Amygdalus georgica</i>	ნუში	<i>Punica granatum</i>	ბროწეული
<i>Rhus coriaria</i>	თუთუბო	<i>Crataegus pentagyna</i>	შავი კუნელი
<i>Carpinus orientalis</i>	ჯაგრცხილა	<i>Crataegus kyrtostila</i>	წითელი კუნელი
<i>Celtis caucasica</i>	აკაკის ხე	<i>Astracantha microcephala</i>	გლერძი
<i>Pistacia mutica</i>	საკმლის ხე	<i>Botriochloa ischaemum</i>	ურო
<i>Lonicera iberica</i>	ცხრატყავა	<i>Ephedra procera</i>	ეფედრა

**ცხრილი 8 G1.3 ჰაბიტატის ძირითადი მცენარეული საფარის შემადგენლობის ნუსხა**

ჰაბიტატი: 91F0 ჭალის შერეული ტყე - G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე			
სახეობათა ნუსხა			
<b>ლათინური დასახელება</b>	<b>ქართული დასახელება</b>	<b>ლათინური დასახელება</b>	<b>ქართული დასახელება</b>
<i>Salix excelsa</i>	ტირიფი	<i>Morus alba</i>	თუთა
<i>Salix alba</i>	წნორი	<i>Punica granatum</i>	ბრონწეული
<i>Populus canescens</i>	ჭალის ვერხვი	<i>Prunus spinosa</i>	კვრინჩი
<i>Celtis caucasica</i>	აკაკის ხე	<i>Swida austalis</i>	შინდანწლა
<i>Celtis glabrata</i>	შიშველი აკაკი	<i>Ulmus glabra</i>	შიშველი თელადუმა
<i>Populus nigra</i>	ოფი	<i>Periploca graeca</i>	ლვედვეცი
<i>Quercus iberica</i>	ქართული მუხა	<i>Smilax excelsa</i>	ეკალღიჭი
<i>Quercus macranthera</i>	მაღალმთის მუხა	<i>Rubus anatolicus</i>	მაყვალი
<i>Ulmus minor</i>	პატარა თელადუმა	<i>Humulus lupulus</i>	სვია
<i>Acer ibericum</i>	ქართული ნეკერჩხალი	<i>Tamarix ramosissima</i>	იალღუნი
<i>Carpinus orientalis</i>	ჯაგრცხილა	<i>Clematis orientalis</i>	კატაბარდა
<i>Hedera helix</i>	ჩვეულებრივი სურო	<i>Crataegus pentagyna</i>	შავი კუნელი
<i>Pyrus salicifolia</i>	ტირიფფოთოლა ბერყენა	<i>Rosa canina</i>	ასკილი

**ცხრილი 9 J ჰაბიტატის ძირითადი მცენარეული საფარის შემადგენლობის ნუსხა**

ჰაბიტატი: 62GE04 სასოფლო-სამეურნეო დასახლებებისა და სავარგულების მცენარეულობა J აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთროპოგენური ჰაბიტატები			
სახეობათა ნუსხა			
<b>ლათინური დასახელება</b>	<b>ქართული დასახელება</b>	<b>ლათინური დასახელება</b>	<b>ქართული დასახელება</b>
<i>Paliurus spina-christi</i>	ძემვი	<i>Galium verum</i>	მინდვრისნემსა

<i>Crataegus kytostila</i>	წითელი კუნძლი	<i>Astragalus brachycarpus</i>	ასტრაგალუსი
<i>Botriochloa ischaemum</i>	ურო	<i>Potentilla recta</i>	-
<i>Dactylis glomerata</i>	სათითურა	<i>Humulus lupulus</i>	სვია
<i>Festuca sulcata</i>	ველის წივანა	<i>Bromus japonicus</i>	შვრიელა
<i>Trifolium arvense</i>	სამყურა	<i>Carex bordzilowskii</i>	ისლი

„ნახიდურიკესის“ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ქვემო ქართლის, სატყეო სამსახურის წალკა-თეთრიწყაროსა სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, ფართობით 102 737 მ<sup>2</sup>.

2022 წელს მთლიან საპროექტო ტერიტორიაზე ხეების აღრიცხვა, ჩატარდა ნაკვეთების მიხედვით. აღრიცხვის დროს სატაქსაციო ფართობზე აღირიცხება 8 სანტიმეტრი და მეტი დიამეტრის ყველა მერქნიანი სახეობები. ტაქსაციის შედეგები მოცემულია დაბლა ცხრილში. ტაქსაციის შედეგების მიხედვით, საპროექტო დერეფნის ფარგლებში დაფიქსირდა 2 სახეობის წითელი ნუსხის სახეობა, კერძოდ: თელადუმა *Ulmus glabra* (სტატუსით - VU (ანუ მოწყვლადი)) და შიშველი აკაკი *Celtis glabrata* (სტატუსით - VU (ანუ მოწყვლადი)), საერთო ჯამში 69 ცალი, საერთო მოცულობით 3,71 მ<sup>3</sup>. ასევე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (უშუალო ზემოქმედების ფარგლებს გარეთ) დაფიქსირდა კიდევ 2 საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა (*Quercus macranthera* - მაღალმთის მუხა და *Ulmus minor* - პატარა თელადუმა), რომლებზეც პროექტის ფარგლებში ზემოქმედება მოსალონდელი ნაკლებად მოსალოდნელია.

ტაქსაციის შედეგების მიხედვით, გზშ-ს ანგარიშისგან განსხვავებით გაზრდილია წითელი ნუსხის სახეობების მცენარეების რაოდენობა, რაც გაპირობებულია იმით რომ გზშ-ის ანგარიშში მოცემული ტაქსაცია ჩატარებულია 2019 წელს, რა დროსაც აღნიშნული ხე ხე-მცენარეები იყო 8 სმ-ზე დაბალი დიამეტრის და არ მომხდარა მათი აღრიცხვა, 2022 წელს ჩატარებული ტაქსაციის მიხედვით აღრიცხული ხე-მცენარეები უკვე იყო 8 სმ და მეტი დიამეტრის შესაბამისად, ამ ეტაპისთვის მოხდა მათი აღრიცხვა, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ცვლილებებით განსაზღვრულ სამშენებლო ბუფერში წითელი ნუსხით განსაზღვრულ სახეობებზე ზემოქმედება პირვანდელ პროექტთან შედარებით არ არის გაზრდილი.

„ნახიდურიკესის“ საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში დაფიქსირებული წითელი ნუსხის სახეობებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, ისეთ ადგილებში სადაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული წითელი ნუსხის სახეობების ბუნებრივ გარემოში შენარჩუნება, მოხდება მისი გვერდის ავლა, დანარჩენ შემთხვევებში, კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება მისი გარემოდან ამოღება, საკომპენსაციო ღონისძიებების გათვალისწინებით.

„ნახიდურიკესის“ პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, საქმიანობები განოხრციელდება სპეციალური ტყით სარგებლობის“ წესის შესაბამისად.

ცხრილი 10 საკვლევ ფართობზე მერქნიანი და არამექნიანი სახეობები

#	მერქნიანი სახეობების დახასიათება			შენიშვნა
	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	რაოდენობა (ცალი)	
1	ჯაგრცხილა	<i>Carpinus orientalis</i>	23	
2	ნეკერჩალი	<i>Acer campestre</i>	78	
3	რცხილა	<i>Carpinus caucasica</i>	9	
4	ცაცხვი	<i>Tilia caucasica</i>	10	
5	ქართული მუხა	<i>Quercus iberica</i>	14	

<b>6</b>	შიშველი თელადუმა	<i>Ulmus glabra</i>	52	წითელი ნუსხა
<b>7</b>	შიშველი აკაკი	<i>Celtis glabrata</i>	17	წითელი ნუსხა
<b>8</b>	იფანი	<i>Fraxinus excelsior</i>	13	
<b>9</b>	თელა	<i>Ulmus foliacea</i>	63	
<b>10</b>	ვერბი	<i>Populus alba</i>	21	
<b>11</b>	ტირიფი	<i>Salix magnifica</i>	76	
<b>12</b>	თუთა	<i>Morus alba</i>	20	
<b>13</b>	აკაცია	<i>Acacia dealbata</i>	4	
<b>ბუჩქებისა და ქვეტყის დახასიათება</b>				
<b>1</b>	კუნელი	<i>Crataegus microphylla</i>	41	

საპროექტო დერფანში წარმოდგენილი ზოგიერთი მცენარის ფოტომასალა

		
<p><i>Celtis caucasica</i></p>	<p><i>Paliurus spina-christi</i></p>	<p><i>Rubus sp.</i></p>
		
<p><i>Eryngium caeruleum</i></p>	<p><i>Corylus avellana</i></p>	<p><i>Malus sp.</i></p>



*Tilia begonifolia*



*Salix alba*

## დასკვნები:

- დაგეგმილი „ნახიდურიჲსის“ საპრექტო დერეფანი, როგორც გზშ-ის ანგარიშით, ასევე საპრეოქტო ცვლილებით კვეთს 3 ტიპის ჰაბიტატს: F3.2  
ხმელთაშუაზღვისპირული ფოთოლმცველი ბუჩქნარი; G1.3  
ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე; J აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთროპოგენური ჰაბიტატები;
- საპროექტო ცვლილებების მიხედვით ტერიტორაზე არ გამოვლენილა მაღალ სენსიტიური მონაკვეთები;
- მთლიან საპროექტო დერეფანში შეინიშნება მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედება (მეორეული გზა, გზადაგზა მოწყობილი დასასვენებლები)
- ტაქსაციის შედეგების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე აღირიცხა წითელი ნუსხის 69 ინდივიდი.

### 3.5.2 ფაუნა

პარაგრაფში წარმოდგენილია, ბოლნისის და თეთრიწყაროს უნიციპალიტეტში მდ. ხრამზე „ნახიდური ჲესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის, პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული ფაუნისტური კვლევის შედეგები. საველე კვლევა განხორციელდა 2022 წლის აგვისტოს თვეში.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ტიპის (დერივაციული) და მასშტაბის ჰესი განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ მოახდენს ფაუნის წარმომადგენლებზე და მათთვის ხელსაყრელ ჰაბიტატებზე, რადგან დაგეგმილია სადაწნევო მილსადენის მშენებლობა მდ. ხრამის ხეობის გასწვრივ, რაც ამცირებს მდინარის კალაპოტში არსებული ტერიტორიების კარგვას და ზემოქმედების რისკებს, განსაკუთრებით წყალზე დამოკიდებულ ფაუნის სახეობებზე. ზემოქმედების ფაქტორი იქნება დროებითი (მშენებლობის ფაზაზე), თუმცა მშენებლობის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, რომ შემოწმდეს საპროექტო დერეფანი, რათა არ განადგურდეს ცხოველთათვის საბინადრო და/ან ხელაყრელი ადგილები.

რაც შეეხება შეტბორვის ტერიტორიას, არ იგეგმება ცვლილება და შესაბამისად წყლის დონის მატება, (წყალსაცავის მოწყობით მოსალოდნელი ზემოქმედება განხილული და შეფასებულია გზშ-ის დოკუმენტში)

#### 3.5.2.1 კვლევის მიზანი

ზოოლოგიური კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის აღწერა და მობინადრე ცხოველთათვის მნიშვნელოვანი საარსებო ჰაბიტატების განსაზღვრა, რომლებიც გვხვდება ან/და შესაძლოა შეგვხვდეს პროექტის გავლენის ზონაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა, საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე (წითელ ნუსხებში შეტანილი სახეობები, ბერნის, ბონის კონვენციებით და სხვა ნორმატიული აქტებით დაცული სახეობები).

### 3.5.2.2 ფაუნისტური კვლევის მეთოდოლოგია

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ცხოველთა სამყაროს შესასწავლად დაიგეგმა და ჩატარდა კამერალური და საველე კვლევების რიგი. დამუშავდა საკვლევი რეგიონის ფაუნის შესახებ არსებული სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურა.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ვიზუალურ დაკვირვებას ცხოველთა არსებობაზე, ნაკვალევისა და სასიცოცხლო საქმიანობის შედეგების, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორიების მიმდებარე უბნებზე.

კვლევის დროს გამოყენებულია მირითადად მარშრუტული მეთოდი (გადაადგილება ხდებოდა ასევე ავტომობილით). საფეხმავლო გასვლებისას განხორციელდა დაგეგმილი საპროექტო ტერიტორიის და მის შემოგარენში არსებული ადგილების დათვალიერება, ვიზუალურად ვაფიქსირებდით და ვარკვევდით ყველა შემხვედრ სახეობას. ასევე ფიქსირდებოდა ცხოველების ნიშნები: კვალი, ექსკრემენტები, სოროები, ბუმბული, ბეწვი და ა.შ.

### საველე კვლევის დროს ჩატარებული ფაუნისტური კვლევის მეთოდები

მეთოდი	
ბუმუმწოდები	სახეობების ვიზუალურად და ფოტოაპარატით დაფიქსირება, სახეობის იდენტიფიკაცია ცხოველქმედების ნიშნების მიხედვით (ფუღურო, სორო, ბუნაგი, კვალი, ექსკრემენტები, ბეწვი). [შენიშვნა: კვლევის მეთოდი ასევე გულისხმობს ნადავლის აღმოჩენის შემთხვევაში, სხეულზე მიყენებული ჭრილობის მიხედვით მტაცებლის იდენტიფიცირებას.] ღამურების ვიზუალური დაფიქსირება, სამყოფელების აღმოჩენა და დაფიქსირება;
ფრინველები	ბინოკულით დაკვირვება, ვიზუალურ და ფოტოაპარატით დაფიქსირება, სმენით იდენტიფიცირება, ცხოველქმედების მახასიათებლების აღმოჩენა. ფრინველებზე დაკვირვება ხდებოდა მზიან და უქარო ამინდში. კვლევა დილის 8 სთ-დან დავიწყეთ და გაგრძელდა შებინდგამდე. ზოგიერთი სახეობის გარკვევა ხმების იდენტიფიკაციის შედეგად მოხდა. სახეობები გავარკვიეთ ფრინველთა სარკვევი წიგნების საშუალებით (Birds of Europe: Second Edition by Lars Svensson and Dan Zetterström და Collins Bird Guide. 2Nd Edition).
ქეწარმავლები და ამფიბიები	ვიზუალურ და ფოტოაპარატით დაფიქსირება, სპეციფიური არეალების დათვალიერება.
უხერხემლოები	ვიზუალური აღრიცხვა, ქვების, ნიადაგის, მცენარეთა ნარჩენების დათვალიერება.

საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობების მოწყვლადობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის IUCN (International Union for Conservation of Nature) - კატეგორიები და კრიტერიუმები. შეფასება შესრულდა საქართველოს წითელი ნუსხის და IUCN წითელ ნუსხის (ვერსია 2021-3) შესაბამისად.

### გამოყენებული ხელსაწყოები

- ✚ ფოტო აპარატები: Canon PowerShot SX50 HS; Canon PowerShot A1300
- ✚ GPS: Garmin eTrex 30x
- ✚ ბინოკული: Opticron Trailfinder 3 WP, 8x42;

### 3.5.2.3 დაცული ტერიტორიები

საპროექტო დერეფანი არ არის მოქცეული დაცული ტერიტორიების საზღვრებში. უახლოვესი დაცული ტერიტორიები, კერძოდ: ბუნების ძეგლი „სამშვილდის კანიონი და ზურმუხტის ქსელის მიღებული საიტი „სამშვილდე GE0000044“, რომელთაგანაც მინიმალური დაშორების მანძილი არის  $\approx 11$  კმ (იხ. რუკა 2), შესაბამისად აღნიშნული პროექტი ზეგავლენას ვერ მოახდენს ტერიტორიებზე არსებულ ფაუნის წარმომადგენლებზე და მათთვის ხელსაყრელ ჰაბიტატებზე.

**რუკა 2** დაცული ტერიტორიებისა და საპროექტო დერეფნის ურთიერთგანლაგების სქემა



### 3.5.2.4 ფაუნისტური კვლევის შედეგები

2022 წლის აგვისტოს თვეში, ჩვენ მიერ ჩატარებული საველე კვლევის შედეგად დადგინდა ფაუნის, რომელი წარმომადგენლები არიან გავრცელებული საპროექტო ტერიტორიაზე. ასვევ მოხდა სახეობების იდენტიფიკაცია და მათი ტაქსონომიურად ვალიდური სამეცნიერო სახელწოდების განსაზღვრა.

საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად მთელ საპროექტო არეალში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30-დღე, ხელფრთიანების 10-ზე მეტი, ფრინველების 150-დღე, ქვეწარმავლების და ამფიბიების 20-დე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა.

ჩატარებული საველე კვლევის დროს საპროექტო ტერიტორიაზე გამოიყო 3 ძირითადი ჰაბიტატი, რომლებიც EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკირების მიხედვით იქნა გამოყოფილი, ესენია:

1. F3.2 ხმელთაშუაზღვისპირული ფოთოლმცველი ბუჩქნარი.
2. G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე.
3. J აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთროპოგენული ჰაბიტატები.

### 3.5.2.4.1 ძუძუმწოვრები

პროექტის გავლენის ზონაში მტაცებელი ძუძუმწოვრებიდან გვხვდება: მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), კვერნა (*Martes martes*), დედოფალა (*Mustela nivalis*), წავი (*Lutra lutra*), კლდის კვერნა (*Martes foina*), მაჩვი (*Meles meles*). მღრნელებიდან: ციყვი (*Sciurus vulgaris*), ტყის ძილგუდა (*Dryomys nitedula*), ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*), მცირეაზიური მემინდვრია (*Chionomys roberti*), წყლის მემინდვრია *Arvicola terrestris*, ბურქნარის მემინდვრია (*Microtus majori*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), სახოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*), მცირე თაგვი (*Sylvaemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Apodemus fulvippectus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და ა.შ. მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), თხუნელა (*Talpa levantis*), გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenaedti*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*), ასევე კურდღელი (*Lepus europeus*) და სხვა.

საველე კვლევისას დაფიქსირდა ტურას (*Canis aureus*) და მაჩვის (*Meles meles*) ექსკრემენტები, ასევე მდ. ხრამის ნაპირებთან მონაკვეთებად წავის (*Lutra lutra*) ექსკრემენტები.

ტურას (*Canis aureus*) ექსკრემენტი E 471035 N 4593630



მაჩვის (*Meles meles*) ექსკრემენტი E 473131 N 4593046



**წავი (*Lutra lutra*):** განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს წითელი ნუსხის სახეობაზე წავზე (*Lutra lutra*), მდ. ხრამის ნაპირებთან, მონაკვეთებად დაფიქსირდა მისი ექსკრემენტები (წავსე მოსალოდენი ზემოქმედება დეტალურად აღწერია გზშ-ის ანგარიშში, საპროექტო ცვლილებებით, წავზე დამატებით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის).

წავის (*Lutra lutra*) ექსკრემენტები E 470997 N 4593721



E 471624 N 4593475

ალსანიშნავია, რომ ხეობაში წავისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატები წარმოდგენილია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ წავზე გარკვეული ზეგავლენა იქნება, მაგრამ დროებითი (იგულისხმება მშენებლობის ფაზა), რადგან დაგეგმილი პროექტი, მისი ტიპიდან (დერივაციული ტიპის ჰქესი) და მასშტაბურობიდან გამომდინარე ვერ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას აღნიშნული სახეობის ჰაბიტატებზე და წავისთვის საკვებ ბაზაზე, თუმცა მასზე გარკვეული სახის უარყოფითი ზემოქმედება იქნება, შესაბამისად საჭიროა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომლებიც დეტალურად განხილულია გზშ-ის ანგარიშზე.

წავისთვის *Lutra lutra* ხელსაყრელი ჰაბიტატი E 471644 N 4593472



შემარბილებელი ღონისძიებები

- მდინარის სიახლოვეს ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების პერიოდი შეძლებისდაგვარად შეირჩევა ისე, რომ იგი არ დაემთხვეს წავის გამრავლების პერიოდს (უნდა აღინიშნოს, რომ წავი მძუნაობს უფრო თებერვალ-აპრილში. პატარები სხვადასხვა დროს - აპრილ-მაისში, ივნის-აგვისტოში და ხშირად დეკემბერ-თებერვალშიც იბადებიან);
- მოხდება მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის ინსტრუქტაჟი და შესაბამისი გაფრთხილება უკანონო ნადირობის და თევზაობის აკრძალვის თაობაზე;
- სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შემოწმებული იქნება არის თუარა საპროექტო ზონაში, წავის სოროები;
- მოხდება გამოვლენილი სოროების აღრიცხვა და აიკრძალება მათთან მისვლა აპრილიდან ივლისამდე;

დაცული იქნება სამშენებლო დერეფანი, რათა მიწის სამუშაოები არ გასცდეს მონიშნულ ზონას და არ მოხდეს წავის სოროების დაზიანება. მიწის სამუშაოები გაკონტროლდება შესაბამისი ცოდნის მქონე პერსონალის მიერ.

**მცირე რეზიუმე:** საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ ძუძუმწოვრების სახეობებზე მოსალოდნელი ზეწოლა იქნება არაპირდაპირი ან დროებითი. არაპირდაპირ ზეწოლაში იგულისხმება ეკოსისტემის იმ ნაწილის დაზიანება, რომლიდანაც ცხოველები ენერგიას იღებენ საკვების სახით, ასევე მიგრაციის დერეფნების გადაადგილებას, რაც ფონურ სტრესს გაზრდის საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ჰაბიტატებში მობინადრე ფაუნის წარმომადგენლებისთვის.

ცხრილი 11 საკვლევ რეგიონში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობები

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახლება	IUCN	RLG	Bern Conv.	დაფიქსირდა (ჰაბიტატის ტიპები - 1-3) არ დაფიქსირდა <b>X</b>
1.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	LC	-	✓	1
2.	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	LC	-	✓	x
3.	თეთრყელა კვერნა	<i>Martes foina</i>	LC	-	✓	x
4.	დედოფალა	<i>Mustela nivalis</i>	LC	-	✓	x
5.	ტყის ძილგუდა	<i>Dryomys nitedula</i>	LC	-		x
6.	ევროპული ზღარბი	<i>Erinaceus concolor</i>	LC	-	✓	x
7.	მცირე თხუნელა	<i>Talpa levantis</i>	LC	-		1
8.	მგელი	<i>Canis lupus</i>	LC	-	✓	x
9.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	LC	-		x
10.	ტურა	<i>Canis aureus</i>	LC			1,2
11.	წავი	<i>Lutra lutra</i>	NT	VU	✓	1
12.	კვერნა	<i>Martes martes</i>	LC	-	✓	x
13.	ვილნიუხის ბიგა	<i>Sorex volnuchini</i>	LC	-		x
14.	თაგვი	<i>Apodemus mystacinus</i>	LC			x
15.	წითელი ციყვი	<i>Sciurus vulgaris</i>	LC			x
16.	ჩვეულებრივი ძილგუდა	<i>Glis glis</i>	LC			x
17.	ბუჩქარის მემინდვრია	<i>Terricola majori</i>	LC			x
18.	მცირეაზიური მემინდვრია	<i>Chionimys roberti</i>	LC			x

19.	წყლის მემინდვრია	<i>Arvicola terrestris</i>	LC			x
20.	ჩვეულებრივი მემინდვრია	<i>Microtus arvalis</i>	LC			x
21.	სახოგადოებრივი მემინდვრია	<i>Microtus socialis</i>	LC			x
22.	გრძელკუდა კბილთეთრა	<i>Crocidura gueldenstaedtii</i>	LC			x
23.	თეთრმუცელა კბილთეთრა	<i>Crocidura leucodon</i>	LC			x
24.	მცირე თაგვი	<i>Apodemus uralensis</i>	LC			x
25.	სტეპის თაგვი	<i>Apodemus fulvipectus</i>	LC	-		x
26.	სახლის თაგვი	<i>Mus musculus</i>	LC			x
27.	შავი ვირთაგვა	<i>Rattus rattus</i>	LC			x
28.	რუხი ვირთაგვა	<i>Rattus norvegicus</i>	LC			x

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:  
EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

ჰაბიტატები:

1. F3.2 ხმელთაშუაზღვისპირული ფოთოლმცველი ბუჩქნარი.
2. G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე.
3. J აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთროპოგენული ჰაბიტატები.

**ღამურები-ხელფრთიანები (Microchiroptera):** ღამურები ერთადერთი მფრინავი ძუძუმწოვრები არიან. დაახლოებით 50 მილიონ წელს ითვლის მათი არსებობა და ევოლუციური თვალსაზრისითა უმნიშვნელოვანეს ცოცხალ ორგანიზმებს განეკუთვნებან. ახასიათებთ ჯგუფური ცხოვრების წესი, ასევე შეუძლიათ ხელფრთიანების სხვა სახეობებთან ერთად თანაარსებობა. ესაჭიროებათ განსხვავებული ტიპის თავშესაფრები:

- ტრანზიტული თავშესაფარი;
- გამოსაზამთრებელი თავშესაფარი;
- შესაწყვილებელი თავშესაფარი;
- სანაშენე თავშესაფარი;
- ზაფხულის თავშესაფარი;

ახასიათებთ ზამთრის ძილი. გამოსაზამთრებელი თავშესაფარი ძირითადად მღვიმეები, კლდოვანი ნაპრალები, ძველი ნაგებობებია, სადაც ტემპერატურა 6-12 გრადუსამდეა. 5 გრადუსზე ქვევით ღამურათა უმრავლესობა იღუპება. აქტიურ პერიოდში ღამურები მღვიმეებს, კლდოვან ნაპრალებს, შენობა-ნაგებობებს და ხის ფუღუროებს აფარებენ თავს. ძირითადად იკვებებიან მწერებით. ერთი ღამის განმავლობაში რამდენიმე ათას მწერს ანადგურებს.


ხელფრთიანების ყველა სახეობა, რომლებიც საქართველოში გვხვდება, შეტანილია ბონის კონვენციის დანართ II-ში და დაცულია EUROBATS-ის შეთანხმებით. ამ შეთანხმების თანახმად საქართველო ვალდებულია დაიცვას პროექტის არეალში და მის მახლობლად დაფიქსირებული ყველა სახეობა.

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და საველე კვლევის მიხედვით, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: *Rhinolophus ferrumequinum* - დიდი ცხვირნალა, *Rhinolophus hipposideros* - მცირე ცხვირნალა *Myotis blythii* - ყურწვეტა მღამიობი, *Myotis mystacinus group* - ჯგუფი ულვაშა

მღამიობი, *Nyctalus noctula* - წითური მეღამურა, *Nyctalus leisleri* - მცირე მეღამურა, *Eptesicus serotinus*-მეგვიანე ღამურა, *Pipistrellus pipistrellus*-ჯუჯა ღამორი, *Pipistrellus pygmaeus*-პაწია ღამორი, *Pipistrellus kuhlii* - ხმელთაშუაზღვის ღამორი, *Plecotus auritus* - რუხი ყურა და სხვა.

მდ. ხრამის ხეობა, წარმოდგენილია კლდოვანი მასივებით, რომლებიც შესაძლოა ღამურების ადგილსამყოფელებს წარმოადგენდნენ, რაც შეეხება ფუღუროიან ხეებს, რომლებიც შესაძლოა იყოს ღამურების დროებითი თავშესაფარი, პროექტის გავლენის ზონაში არ ფიქსირდება, შესაბამისად პირდაპირ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება ხელფრთიანთა წარმომადგენლებზე. ხელფრთიანებზე ზემოქმედების შეფასების მიზნით, მოხდა საპროექტო ცვლილებებით განსაზღრულ ბუფერში და მის მიმდებარე არსებული გეოლოგიური ერთეულების დათვალიერება და უნდა აღინიშნის, რომ ისეთი ჰაბიტატი, რომელიც ღამურების სადგილსამყოფელად ხელსაყრელია, წარმოდგენილია მდ. ხრამის მარცხენა სანაპიროს ზედა ნიშნულებზე, სადაც დაგეგმილი საქმიანობის განორციელება არ იგეგმება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლოვანი მასივების საპროექტო ტერიტორიიდან მინუმალური დაშორების მანძილი  $\approx 200$  მ-ია. დაგეგმილი საქმიანობის სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწის და ფერდის მოჭრის სამუშაოები ისეთ ადგილებში, სადაც საჭირო იქნება განხორციელდება სამშენებლო ტექნიკის ე.წ „კოდალა“ საშუალებით, დანარჩენ მონაკვეთებზე, სადაც შესაძლებელი იქნება განხორციელდება ხელით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში აფეთქების სამუშაოები არ არის გათვალისწინებული, რაც ამ მხრივ თავისთავად სხვადასხვა მიმართულებით ზემოქმედებას კიდევ უფრო ამცირებს. ღამურებზე მოსალოდნელია მცირეხნიანი ზემოქმედება, მშენებლობის პროცესით გამოწვეული ხმაურის/ვიბრაციის და მტვრის გავრცელებით, თუმცა იქიდან გამომდინარ რომ მათთვის სავარაუდოდ ხელსაყრელი ფაბიტატი მოშრებული იქნება სამშენებლო ბუფერს, მშენებლობის ეტაპზე საკმარისი იქნება ზოგადი სახის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მოცემულია ქვეთავში 3.4.2.4.4., შესაბამისად დამატებით განსაკუთრებული შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებების გატარება არ არის საჭრო. ყოველივე ზემოხსნებულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი საქმიანობით ღამურების ადგილსამყოფელებს საფრთხე არ შეექმნება.

#### სურ. 6 ღამურებისთვის შესაძლო ხელსაყრელი მასივები



ცხრილი 12 საკვლევ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ხელფრთიანთა სახეობები.

№	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv	CMS	დაფიქსირდა (ჰაბიტატის ტიპები - 1-3) არ დაფიქსირდა X
1.	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	დიდი ცხვირნალა	LC		✓	✓	x
2.	<i>Rhinolophus</i>	მცირე ცხვირნალა	LC		✓	✓	x

	<i>hipposideros</i>						
3.	<i>Myotis blythii</i>	ყურწვეტა მღამიობი	LC		✓	✓	x
4.	<i>Myotis mystacinus</i>	ულვაშა მღამიობი	LC		✓	✓	x
5.	<i>Nyctalus noctula</i>	წითური მეღამურა	LC		✓	✓	x
6.	<i>Nyctalus leisleri</i>	მცირე მეღამურა	LC		✓	✓	x
7.	<i>Eptesicus serotinus</i>	მეგვიანე დამურა	LC		✓	✓	x
8.	<i>Pipistrellus pipistrellus</i>	ჯუჯა ღამორი	LC		✓	✓	x
9.	<i>Pipistrellus pygmaeus</i>	პაწია ღამორი	LC		✓	✓	x
10.	<i>Pipistrellus kuhlii</i>	ხმელთაშუაზღვის ღამორი	LC		✓	✓	x
11.	<i>Plecotus auritus</i>	რუხი ყურა	LC		✓	✓	x

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:

EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

ჰაბიტატები:

1. F3.2 ხმელთაშუაზღვისპირული ფოთოლმცველი ბუჩქნარი.
2. G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე.
3. J აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთოპოგენული ჰაბიტატები.

### 3.5.2.4.2 ფრინველები (Aves)


ორნითოლოგიური კვლევა განხორციელდა აგვისტოს თვეში. საქართველოში გავრცელებული 403 სახეობის ფრინველიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ფრინველების სულ მცირე 200 სახეობა ფიქსირდება. ხოლო უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოა გამოვლინდეს მიგრანტი და მობუდარ ფრინველთა 150-მდე სახეობა. აქედან უმრავლესობა ტყეებთან, ბუჩქნართან და წყალთან დაკავშირებული სახეობებია. ეს ითქმის როგორც მობინადრე, ისე მობუდარი ფრინველების მიმართ. აღნიშნული 145 სახეობის ფრინველიდან 58 სახეობა მთელი წლის განმავლობაში გვხვდება, 27 მიგრანტია და ტერიტორიას მხოლოდ გადაფრენის დროს გაზაფხულსა და შემოდგომაზე სტუმრობს, 46 მობუდარია და შემოდის მხოლოდ ბუდობის და გადაფრენის სეზონზე, 8 მთელი წლის განმავლობაში ტერიტორიაზე იმყოფება, მაგრამ არ მრავლდება, ხოლო 5 ფრინველი გვხვდება მხოლოდ ზამთარში და გადაფრენის დროს.

პროექტის ზეგავლენის არეალში არსებული ორნითოფაუნა, არც ისე სრულყოფილად არის აღწერილი და შეფასებული. არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოქმედების არეალში არსებული ორნითოფაუნა მრავალფეროვანია და წარმოდგენილია, როგორც ფართოდ გავრცელებული, მრავალრიცხოვანი ბეღურისნაირებით, ასევე ვარხვისნაირებითა და მეჭვავიასნაირებით (მათ შორის საქართველოს წითელი ნუსხის და ბერნის კონვენციით დაცული სახეობებით). მობუდარი ფრინველებიდან დომინანტური ჯგუფი ტყის მცირე ბეღურისნაირები არიან. აღნიშნული საველე კვლევის დროს დაფიქსირდა 20-მდე სახეობის ფრინველი და 1 ბეღურისნაირთა წარმომადგენლის ბუდე. აღნიშნული ადგილი წარმოადგენს ხელსაყრელ ჰაბიტატს და საბუდარ ადგილს ბევრი ჰატარა ზომის, ასევე წყლის ფრინველებისათვის. საპროექტო ტერიტორიაზე მიგრაციისას ან საკვების მოპოვების დროს მოხვდებიან ეროვნული და საერთაშორისო (IUCN) ნუსხებით დაცული შემდეგი სახეობები: ქორცქიტა (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო) (*Accipiter brevipes*), ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*), მთის არწივი

(*Aquila chrysaetos*), ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა (*Buteo rufinus*), მცირე (ან ველის) კირვიტა (*Falco naumanni*), თეთრი ყარყატი (*Ciconia ciconia*), შავი ყარყატი (*Ciconia nigra*), დიდი ჩიბუხა (გოჭა) (*Gallinago media*) და სომხური თოლია (*Larus armenicus*). საპროექტო ტერიტორიაზე გვხვდება დიდი მტაცებლების და ლეშიჭამია ფრინველებისთვის ხელსაყრელი საკვები არეალები.

აღნიშნული არეალი გარკვეულწილად მნიშვნელოვანია გადამფრენი ფრინველებისათვის. ერთ-ერთი სამიგრაციო მარშრუტი მდ. ხრამის ხეობის გასწვრივ გადის, თუმცა საპროექტო ტერიტორიას არ კვეთს საქართველოში არსებული ფრინველთა ძირითადი სამიგრაციო მარშრუტები.


### რუკა 3 ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტების და საპროექტო დერეფნის ურთიერთგანლაგება



საპროექტო ტერიტორია არ არის მოქცეული საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების ფარგლებში. Special Protection Areas (SPA) for birds in Georgia, რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს საქართველოში მობუდარი ფრინველების პოპულაციების დაცვა და მონიტორინგი.


აღნიშნული ტერიტორია არ ხვდება არც ფრინველთათვის მნიშვნელოვან ადგილებში (ფმა) IBA – Important Bird Area.

**რუკა 4.** საპროექტო დერეფნის და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების (უახლოვესი) ურთიერთგანლაგების სქემა.



18	მტკვრის ნაფოტა	<p>გამსვლელი ქარავნული თევზია, უმეტეს დროს ატარებს ზღვაში, მრავლდება მდინარეებში. [1]</p> <p>ჩვენს წყლებში ადგილობრივი ბინადარია.</p> <p>ქვირითს ყრის უმეტესად მცენარეებზე, 10-100 სმ სიღრმეზე, წყლის 10-20 °C-ის დროს.</p>	<p>მრავლდება სხვადასხვა დროს ადგილმდებარეობის მიხედვით, მარტიდან ივნისამდე. [1]</p> <p>მრავლდება მარტ აპრილში.</p>	გავრცელებულია მდ. ხრამში. [1]
19	ჩვეულებრივი გველანა	მტკნარი წყლის თევზია. ბინადრობს მდინარეებში, ტბებსა და წყალსაცავებში. ამჯობინებს შლამიან და ქვა-ქვიშიან ადგილებს. [1]	მრავლდება მაისიდან სექტემბრამდე. [7]	საქართველოში გვხვდება მტკვრის მთელ სიგრძეზე; მისი შენაკადებიდან - მდ. ხრამშიც [7]
20	მტკვრის გოჭალა	<p>ბინადრობს მდინარეების შუა და ზემო დინებაში, ირჩევს წყალმცენარეებით მდიდარ ტოტებს, თხელწყლიან ქვაქვიშიან ადგილებს. იშვიათია წყალსაცავებსა და ტბებში. [1]</p> <p>მტკნარი წყლის ბინადარი თევზია, რომელიც მდინარის წყალმარჩხს, ჩქარ და ქვა-ქვიშიან ფსკერს ეტანება. გასამრავლებლად ირჩევს წყალმეჩხერ ქვა-ქვიშიან დგილებს.</p>	<p>მრავლდება მაისიდან აგვისტომდე. [1]</p> <p>მრავლდება მაისიდან ივლისამდე.</p>	საქართველოში გვხვდება მტკვრის მთელ სიგრძეზე; მისი შენაკადებიდან - მდ. ხრამშიც [1]
21	ლოქო	<p>საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ადგილობრივი ბინადარი ფორმა. თბილი წყლის მოყვარული მტაცებელი თევზია. [1]</p> <p>ეგუება ტბის პირობებს, მდინარეში ღრმა, მდორე ადგილებს ეტანება. ზომთრობით ღრმა ორმოქეში ეფლობიან (სადაც უფრო თბილია, ხოლო ზაფხულობით უფრო გრილია). [1]</p> <p>ბინადრობს ცაკლე, ღრმა ადგილებში, მხოლოდ ზამთრობით გროვდებიან და წვებიან ორმოქეში დასაზამთრებლად.</p> <p>ტოფობს ნახევარ მეტრამდე სიღრმის, მცენარეულობით მდიდარ ნელი დინების ადგილებში. [1]</p>	<p>ტოფობს მაისიდან აგვისტომდე [1]</p> <p>ნახებარ მეტრამდე სიღრმის, მცენარეულობით მდიდარ, სუფთა, ნელი დინების ადგილებში, წყლის 18-25 °C ტემპერატურის დროს. [1]</p>	გავრცელებულია მდ. ხრამის ქვემო ნაწილში [1]
22	ნაკადულის / ტბის კალმახი*	კალმახი მთის ზონის ჟანგბადით მდიდარ ცივი წყლის მობინადრე თევზია. ადის დიდ სიმაღლეზე, რაც სხვა თევზებისთვის მიუწვდომელია. კალმახის ოპტიმალური ტემპერატურა 16-14 °C. როგორც ტემპერატურა მაღლა იწევს და ჟანგბადიც ნაკლებია, მაშინ მიდის უფრო ზემო წელში.	მრავლდება სექტემბრიდან თებერვლამდე. უმეტესად ოქტომბერ-ნოემბერში. [1] ქვირითობს წყლის 10 °C-ის ქვემოთ. [1]	გავრცელებულია საქართველოში ყველგან მთის მდინარეებში და იშვიათად - ზარის მდინარეებშიც. [1]

		ქვირითს ყრის მდინარის ჩქარი დინების თხელწყლიან, ქვაქვიშიან ადგილებში. [1]		ნაკადულის კალმახი გავრცელებულია სუბალპურ და ზოგჯერ ალპურ ზონაში 2,0 ათას მეტრზე ზემოთ. [1] გვხვდება მტკვრის შენაკადებშიც; მათ შორის - მდ. ხრამსა და ხრამის წყალსაცავში. [1]
23	მდინარის კავკასიური ღორჯო	უმეტესად ბინადრობს ჩქარ მდინარეებში; ირჩევს ქვა-ქვიშიან ბიოტოპს. ბინადრობს უმეტესად მდინარის შუა და ზემო დინებაში, ქვა-ქვიშიანი ფსკერის მქონე ჩქარ დინებაში. [1]	ტოფობს მაის-ივნისში. [1]	საქართველოს მდინარეებში გვხვდება თითქმის ყველგან, ზოგიერთ ტბასა და წყალსატევშიც. [1]

ცხრილი 16-ის გაანალიზების საფუძველზე, საპროექტო არეალში გამოირიცხა მდ. ხრამის ზემოწელში გავრცელებული სახეობა - ნაკადულის კალმახი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წყალსატევებში გავრცელებული ნაკადულის/ტბის კალმახი ერთი სახეობაა; განსხვავება შეინიშნება ვიზუალში, რაც მათი სხვადასხვა საარსებო გარემოში ცხოველმყოფელობის შედეგადაა განპირობებული. ნაკადულის კალმახს ძირითადად უწოდებენ მდინარის სათავეებში არსებულ კალმახის მუდმივ პოპულაციას. აღნიშნული ინდივიდები საკვები ბაზის არასაკმარისი რაოდენობის გამო დიდ ზომებს ვერ აღწევს. ტბის კალმახს უწოდებენ ამავე სახეობის პოპულაციის გამსვლელ ფორმას, რომელიც სათავიდან კატარდომულად (მდინარის დაღმა მიმართულებით) მიგრირებს ტბებსა და წყალსაცავებში, აღწევს დიდ ზომებს და გასამრავლებლად მდინარის სათავისკენ ანადრომულ მიგრაციას ახორციელებს (მდინარის აღმა მიმართულებით). ნაკადულის კალმახის საარსებო ჰაბიტატი მდინარეების სათავეებში, ცივწყლიან, ჩქარი დინების მონაკვეთებში მდებარეობს. საპროექტო არეალის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ნაკადულის კალმახის გავრცელება ფაქტობრივად გამორიცხულია.

ლიტერატურულ წყაროებში აღწერილია - სევანის ხრამული (Capoeta capoeta Sevangi), რომელიც ინტროდუცირებულია და ხრამის (წალკის) წყალსაცავშია გავრცელებული. ხრამის წყალსაცავს თევზისავალი ნაგებობა არ გააჩნია, შესაბამისად აღნიშნული სახეობა საპროექტო ზონაში არ გვხვდება.

სევანის ხრამულის გარდა, კობრიც (გოჭა) წალკის წყალსაცავში აკლიმატიზირებული სახეობაა; ხოლო ჩვეულებირვი კარჩხანა - ინვაზიური სახეობაა.

15-16 ცხრილების გაანალიზების საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ საპროექტო მონაკვეთში საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები ფაქტობრივად არ გვხვდება. შესაბამისად, კამერალური კვლევების თანახმად დროებითი საავტომობილო გადასასველის განთავსების მონაკვეთი კრიტიკულ ან/და საკონსერვაციო ღირებულების ჰაბიტატს არ წარმოადგენს.

ცხრილში 17 წარმოდგენილია საპროექტო არეალში სავარაუდოდ გავრცელებული თევზების ქვირითობის პერიოდები. წარმოდგენილი ინფორმაცია გამოყენებული იქნება შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამის თავში.

**ცხრილი 17 საპროექტო არეალში სავარაუდოდ გავრცელებული იქთიოფაუნის სატოფო პერიოდები**

სახეობა / სატოფო პერიოდი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ტაფელა		+	+	+	+	+	+	+				
მტკვრის წვერა				+	+	+	+	+				
ჭანარი					+	+	+	+	+			
მურწა					+	+						
ხრამული					+	+	+	+				
ჩვეულებრივი კარჩხანა (კარასი)					+	+	+	+	+			
კობრი, გოჭა				+	+	+	+	+				
აღმოსავლური კაპარჭინა					+	+	+					
ამიერკავკასიული ბლიკა					+	+	+	+				
მტკვრის თაღლითა					+	+	+					
შავწარბა						+	+					
შამაია					+	+	+	+	+			
წითელტუჩა ჭერეხი		+	+									
მტკვრის ტობი		+	+	+	+	+						
ჩვეულებრივი ქაშაპი					+	+	+	+	+			
კავკასიური ქაშაპი					+	+	+	+				
მტკვრის ნაფოტა			+	+	+	+						
ჩვეულებრივი გველანა					+	+	+	+	+			
მტკვრის გოჭალა					+	+	+	+				
ლოქო, ღლავი					+	+	+	+				
მდინარის კავკასიური ღორჯო					+	+						

ცხრილი 12-დან ჩანს, რომ საპროექტო სატოფო მიგრაციის პერიოდების პიკი მაისი-აგვისტოში ფიქსირდება. მოცემულ პერიოდში რეკომენდებული არ არის წყალსატევში მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამიგრაციო გზები, მათი ბლოკირება დაუშვებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დროებითი საავტომობილო გადასასველი სამიგრაციო გზების ბლოკირებას არ გამოიწვევს. დროებითი საავტომობილო გადასასველის მოწყობით

გამოწვეული ზემოქმედებები და მათი შერბილების გზები წარმოდგენილია ანგარიშის შესაბამის თავში.

მოძიებულია სხვადასხვა გარემოსდაცვი ანგარიშების კვლევის შედეგები, მათზე დაყრდნობით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოპოვებული თევზების სახეობია:

- ჩვეულებრივი ქაშაპი (*Leuciscus leuciscus* (Linnaeus, 1758)) - 1 ც;
- მტკვრის ნაფოტა (*Rutilus rutilus kurensis* Berg, 1932) - 4 ც;
- მდინარის კავკასიური ღორჯო (*Neogobius (Ponticola) constructor* (Nordmann, 1840) - 4 ც;
- ხრამული (*Capoeta capoeta* Guldenstadt, 1773) - 5 ც;

მდ. ხრამზე დაგეგმილი „ნახიდური კესის“ საპროექტო ტერიტორიაზე მოპოვებულია:

- მტკვრის წვერა (*Barbus lacerta* Heckel, 1843) - 6 ცალი;
- ხრამული (*Capoeta capoeta* Guldenstadt, 1773) - 8 ცალი;
- მტკვრის ციმორი (*Romanogobio persus* (Gunther, 1899) - 3 ცალი;
- მურწა (*Luciobarbus mursa* (Guldenstadt, 1773)) - 3 ცალი;
- მტკვრის ნაფოტა (*Rutilus rutilus kurensis* Berg, 1932) - 7 ცალი;
- კავკასიური ქაშაპი (*Squalius cephalus* Linnaeus, 1758) - 2 ცალი;
- მტკვრის თაღლითა (*Alburnus filippi* Kessler, 1877) - 11 ცალი;
- ჩვეულებრივი მარდულა, სწრაფულა - *Alburnoides bipunctatus* (Bloch, 1782) - 13 ცალი;
- მდინარის კავკასიური ღორჯო (*Neogobius (Ponticola) constructor* Nordmann, 1840) - 5 ცალი;
- შავწარბა (*Acanthobrama microlepis* (De Filippi, 1863)) - 8 ცალი.

წარმოდგენილი მონაცემები, საპროექტო არეალში შესაძლოა იქთიოფაუნის ფონურ სახეობრივ შემადგენლობად იქნეს განხილული.

### 3.5.3.4 საველე კვლევები

საველე კვლევები ძირითადად განხორციელდა საპროექტო დროებითი საავტომობილო გადასასავლელის სამშენებლო მონაკვეთში, ასევე მდინარის აღმა და დაღმა მიმართულებებით 250-მ-იან მონაკვეთებში.

#### 3.5.3.4.1 ვიზუალური შეფასება

დროებითი საავტომობილო გადასასველი განთავსების მონაკვეთში მდინარე ხრამის კალაპოტი განიერია - დაახლოებით 10-15 მ. კალაპოტის ღრმა ნაწილი მარცხენა ნაპირთან შეინიშნებოდა. სიღრმე სხვადასხვა მონაკვეთებში დაახლოებით 2,5-3 მ-ს შეადგენდა. მარჯვენა ნაპირი შედარებით თხელწყლიანი იყო (დაახლოებით 0.15-0.3 მ), რაც ლიფსიტებისთვის და მცირე ზომის თევზებისთვის შესაბამის ჰაბიტატს წარმოადგენდა.

მდინარის მარცხენა ნაპირთან კალაპოტს ერთვოდა ფერდი, რომელზეც მრავლად შეინიშნებოდა მცენარეული საფარი.

მდინარე ხრამის კალაპოტში მრავლად იყო სხვადასხვა ზომის ქვები. თხელწყლიანი მონაკვეთები ჩქერიანი ჰაბიტატებით წარმოდგენილი. მდინარის მარჯვენა ნაპირთან ძირითადად კალაპოტის სწორი კვეთი და სარკისებური ზედაპირი აქვს.

მდ. ხრამის კალაპოტი საპროექტო დროებითი საავტომობილო გადასასველის მიმდებარედ



საველე სამუშაოების მსვლელობისას მდინარის ნაპირებთან ვიზუალურად შეინიშნებოდა მცირე ზომის თევზების (ამწლიანები) გუნდები. მცირე ზომიდან გამომდინარე, კანონით დაშვებული თევზჭერის იარაღით ლიფსიტების მოპოვება ვერ მოხერხდა. ინდივიდების დასაფიქსირებლად და სახეობის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული იქნა სპეციალური კამერა, რომელიც წყალქვეშ გადაღებისთვისაა განკუთვნილი. დაფიქსირებული ინდივიდები წარმოდგენილია სურათებზე ქვემოთ.

#### საპროექტო მონაკვეთში დაფიქსირებული ამწლიანები



#### საპროექტო მონაკვეთში დაფიქსირებული ამწლიანები



#### საპროექტო მონაკვეთში დაფიქსირებული ამწლიანები



საპროექტო მონაკვეთში დაფიქსირებული ამწლიანები



### 3.5.3.4.2 იქთიოფაუნის საარსებო გარემოს კვლევა

შეფასდა ჰიდრობიონტების საცხოვრებელი გარემოს ფონური მდგომარეობა. სამუშაოები მოიცავდა წყლის ხარისხის ზოგად კვლევას; ასევე თევზების საკვების - მაკროუხერხემლოების შესწავლას.

### 3.5.3.5 წყლის ხარისხი

საპროექტო დროებითი საავტომობილო გადასასველის მიმდებარედ შემოწმდა წყლის შემდეგი პარამეტრები: ტემპერატურა, ელ. გამტარობა, საერთო მინერალიზაცია, pH, წყალში გახსნილი ჟანგბადი ( $O_2$  მგ/ლ), წყლისა და ატმოსფეროს ტემპერატურები. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 13; სამუშაო პროცესი იხილეთ სურათებზე ქვემოთ.

ცხრილი 18 მდ. ხრამის წყლის ხარისხის კვლევის შედეგები

2022.08.13	ატმოსფეროს ტემპერატურა (°C)	წყლის ტემპერატურა (°C)	წყალში გახსნილი ჟანგბადი ( $O_2$ მგ/ლ)	pH	საერთო მინერალიკაზია (TDS)	ელ. გამტარობა (EC)
	30.2 °C	18.1 °C	9.2	7,1	64	172

ცხრილიდან ჩანს, რომ მიღებული შედეგების თანახმად მდინარის წყლის ხარისხი და ჰიდროქიმიური მონაცემები, საველე კვლევის პერიოდში შესაბამისობაში იყო იქთიოფაუნის ეკოლოგიური ნიშების ზოგად საცხოვრებელ გარემო-პირობებთან.

სამუშაო პროცესი



### 3.5.3.5.1 თევზების საკვები ბაზა

kick and sweep (Schmidt-Kloiber, 2006) მეთოდით შესწავლილი იქნა იქთიოფაუნის საკვები ბაზა - მაკროუხერხემლოები. კვლევისას შეისწავლებოდა მდინარის კალაპოტის 1 მ<sup>2</sup> ფართობზე არსებული მაკროუხერხემლოების ინდივიდები. დროებითი საავტომობილო გადასასველის განთავსების ლოკაციაზე კვლევები მიმდინარეობდა სხვადასხვა მონაკვეთებში, მრავალჯერადად.

აღებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ნიმუშები დაფიქსირდა, შეიფუთა და გაიგზავნა ლაბორატორიაში შემდგომი კვლევებისთვის. კვლევის პროცესი ნაჩვენებია სურათებზე.

#### კვლევის პროცესი



### 3.5.3.5.2 თევზჭერა

თევზჭერის მიზანს წარმოადგენდა საპროექტო დროებითი საავტომობილო გადასასვევლის მიმდებარედ გავრცელებული იქთიოფაუნის ფონური მდგომარეობის კვლევა.

კვლევისას ვხელმძღვანელობდით „დაიჭირე-გაუშვის“ პრინციპით, რაც გულისხმობდა მოპოვებული იქთიოლოგიური მასალის მდინარეში ცოცხალ მდგომარეობაში დაბრუნებას.

როგორც აღინიშნა, თევზჭერა მიმდინარეობდა სასროლი ბადეებითა და ანკესებით. კვლევის პროცესში მოპოვებული ინდივიდები აღიწერა, გაიზომა, აიწონა და მონაცემები დაფიქსირდა საველე ჟურნალში. თევზჭერის ამსახველი მასალა იხილეთ სურათზე, შედეგები დეტალურად წარმოდგენილია ცხრილში 19.

#### თევზჭერის პროცესი



ცხრილი 19 თევზჭერის შედეგები დროებითი ხიდის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ

სახეობის დასახელება	ინდივიდების რაოდეობა (ცალი)	ინდივიდების სიგრძე (სმ)	ინდივიდების წონა (გრ)	სახეობის საერთო წონა ზონის მიხედვით (გრ)
*ჩვეულებრივი მარდულა, სწრაფულა - <i>Alburnoides bipunctatus</i> (Bloch, 1782)	100 +	8,5	32	539 +
		8	27	
		7	22	
		7,5	25	
		9	31	
		8,5	31	
		8,5	32	
		8	27	
		7	22	
		7,5	25	
		9	33	
		9	35	
		8	25	
		5	17	
		5	18	
		8,5	32	
		8	27	
		7	22	
		7,5	25	
		9	31	
მდინარის კავკასიური ღორჯო ( <i>Neogobius (Ponticola) constructor</i> Nordmann, 1840)	4	7,7	8	32
		6,6	7	
		7	8	
		8,1	9	
მტკვრის წვერა ( <i>Barbus lacerta</i> Heckel, 1843)	9	10,5	29	306
		12,3	30	
		9,5	27	

		14	34	
		14	29	
		13	22	
		16	49	
		15	42	
		15	44	
მოპოვებული თევზების ინდივიდების რაოდენობის ჯამი	113 +	მოპოვებული თევზების ბიომასების ჯამი		877

\*ჩვეულებრივი მარდულა, სწრაფულას (*Alburnoides bipunctatus* (Bloch, 1782)) ამწლიანების გუნდები წყალქვეშა ვიდეოგადაღებისა და თევზჭერის შედეგად დაფიქსირდა საპროექტო მონაკეთის სანაპირო ზოლში.

19 ცხრილიდან ჩანს, რომ დროებითი საავტომობილო გადასასველის განთავსების მონაკვეთში მაღალ საკონსერვაციო ღირებულების იქთიოფაუნა არ მოიპოვება. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები შპს „გამა კონსალტინგი“-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში<sup>1</sup> არაა ასახული. შესაბამისად, შესაძლოა ითქვას, რომ ჰაბიტატს მღალი საკონსერვაციო სტატუსი არ გააჩნია.

თევზჭერის შედეგად მოპოვებული ინდივიდები



თევზჭერის შედეგად მოპოვებული ინდივიდები



<sup>1</sup> <https://mepa.gov.ge/ge/PublicInformation/25588>

თევზჭერის შედეგად მოპოვებული ინდივიდები



თევზჭერის შედეგად მოპოვებული ინდივიდები



თევზჭერის შედეგად მოპოვებული ინდივიდები



### 3.5.3.5.3 ლაბორატორული კველვა

ლაბორატორიაში შესწავლილია დროებითი საავტომობილო გადასასვლელის მოსაწყობად გათვალისწინებულ საპროექტო მონაკვეთში მოპოვებული მაკროუხერხემლო ორგანიზმები. დადგინდა მათი ზოგადი ტაქსონომიური შემადგენლობა და ბიომასა. ინდივიდთა კლასიფიკაცია წარმოდგენილია სპეციალური სარკვევით მეშვეობით. კვლევისთვის გამოყენებულია ელ. მიკროსკოპი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 16.

ცხრილი 20 საპროექტო დროებითი ხიდის მიმდებარედ მოპოვებული ბენთოსური ორგანიზმები

მაკროუხერხემლოები		ადგებული ნიმუშების ნომერი / მიღებული რაოდენობა (ცალი)					ოჯახების ჯამური რაოდენობა 1 მ <sup>2</sup> -ზე	რიგების ჯამური რაოდენობა 1 მ <sup>2</sup> -ზე
რიგი	ოჯახი	I	II	III	IV	V		
Diptera	Tipulidae	2	-	-	3	1	6	38 +
	Chironomidae	10 +	-	20 +	-	-	30 +	
	Blephariceridae	-	1	-	1	-	2	
Ephemeroptera	Baetidae	-	-	-	1	1	2	7
	Heptageniidae	3	1	1	-	-	5	
Trichoptera	Thremmatidae	8	4	11	8	7	38	81
	Limnephilidae	4	3	1	9	5	22	
	Hydropsychidae	2	5	5	3	6	21	
Odonata	Aeshnidae	-	-	1	-	2	3	3
Plecoptera	Perlidae	11	16	12	9	13	61	61
საკვლევ ნიმუში არსებული ინდივიდების ჯამი		40	30	51	34	35	ინდივიდების ჯამური რაოდენობა	190

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ:

- საკვლევ მონაკვეთში მრალადაა სხვადასხვა რიგებისა და მასში შემავალი ოჯახების წარმომადგენელი მაკროუხერხემლოები;
- ინდივიდების ზომები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, რაც მაკროუხერხემლო ორგანიზმების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პოპულაციებზე მიგვანიშნებს. აღსანიშნავია, რომ ნიმუშებში რაოდენობრივად მცირე ზომის ინდივიდები ჭარბობდა;
- ჩატარებული კვლევების შედეგად, საველე სამუშაოების პერიოდში 1 მ<sup>2</sup>-ზე დაახლოებით 1-2 გრ მაკროუხერხემლო დაფიქსირდა;

იქთიოფაუნის საკვები ბაზისთვის არსებული ფონური მდგომარეობა შესაძლოა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

### 3.5.3.6 ანაზეზი

საველე კვლევის დროს გამოიკითხნენ ადგილობრივი მოყვარული მეთევზები. ვინაიდან საპროექტო ზონიდან დასახლებული პუნქტი საკმაო მანძლით არის დაშორებული; შესაბამისად, გამოკითხულია ორი მეთევზე. გამოკითხულმა პიროვნებებმა ვინაობის დასახელება არ ისურვეს.

მათი ინფორმაციით, დროებითი საავტომობილო გადასასვლელის საპროექტო მონაკვეთში მდ. ხრამში ძირითადად გავრცელებულია მტკვრის წვერა და ნაფოტა (იგულისხმება სწრაფულა), ასევე იჭირება ხრამული და ღორჯოც.

### 3.5.3.7 ზემოქმედება ჰიდრობიონტებზე და შემარბილებელი ღონისძიებები

როგორც აღინიშნა, მდ. ხრამის კალაპოტში „ნახიდურიჭესის“ საპროპოექტო მონაკეთზე დაგეგმილია საპროექტო ცვლილებები, მათ შორის დეტალური პროექტის მომზადებამ გამოკვეთა საჭიროება მდ. ხმარის სანაპიროების ერთმანეთთან დამაკავშირებელი დროებითი საავტომობილო გადასასველი მოწყობის. საპროექტო ცვლილებების მიხდევით, მდინარე ხრამი გატარებული იქნება  $2.0 \times 2.0$  მ. შიდა განივი კვეთის მქონე ბეტონის კონსტრუქციებისაგან მოწყობილი 6 მაფიანი (ბეტონის წყალგამტარი კონსტრუქცია მოეწყობა 6 რიგად) მიღწიდით, ხოლო ამ მიღწიდებზე ზევიდან გადავა სატრანპორტო გზა, შესაბამისად, მისი არსებობა იქთიოფაუნისთვის სამიგრაციო ბარიერებს არ შექმნის. ზოგადად, მსგავსი ტიპის დროებითი ხიდის მოწყობა ჰიდრობიონტებზე უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს. ასევე აღსანიშნავია, რომ საველე კვლევითი სამუშაოების შედეგად საპროექტო მონაკეთში მაღალ საკონსერვაციო ღირებულების ჰაბიტატი არ დაფიქსირდა. ბუნებაში ანთროპოგენურ ზემოქმედებას ახლავს გარკვეული ზემოქმედებები, მიმდინარე თავში წარმოდგენილია საპროექტო საქმიანობით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედებები და მათი აღმოფხვრის/შერბილების გზები.

ჰიდრობიონტებზე ზემოქმედება შესაძლოა დაიყოს ორ ტიპად:

- ბუნებრივი - საარსებო გარემო, წყლის ხარისხი, მწირი საკვები ბაზა, კალაპოტის და მდინარის ნაკადის გეომორგოლოგური თავისებურებები;
- ანთროპოგენური - ყველა სახის ზემოქმედება რაც ადამიანის ჩარევითაა გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო მონაკეთში დადებითი საარსებო გარემო დაფიქსირდა. შესაბამისად, დროებითი საავტომობილო გადასასველის განთავსების მონაკეთში იქთიოფაუნასა და მაკროუხერხემლოებზე ბუნებრივ ზემოქმედებას ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონდა.

დროებითი საავტომობილო გადასასვლელის მშენებლობის შემთხვევაში, ჰიდრობიონტებზე შესაძლო ანთროპოგენური ზემოქმედებებია:

- ხმაური - სამშენებლო სამუშაოების პერიოდში;
- ვიბრაცია - სამშენებლო სამუშაოების პერიოდში;
- მდინარის ამღვრევა - სამშენებლო სამუშაოების პერიოდში;
- თევზების საქვირითე მიგრაციის ან/და ქვირითობის პროცესის შეფერხება - ძირითადად კალაპოტის ბლოკირების შემთხვევაში;
- ფსკერული ინდივიდებისთვის (მაკროუხერხემლოები) ჰაბიტატის განადგურება - სამშენებლო სამუშაოების შედეგად;
- მდინარის წყლისა და ნაპირების დაბინძურება - სამშენებლო მასალით ან/და მდინარის წყლის ნავთობპროდუქტებით დაბინძურება.

წარმოდგენილი ზემოქმედებებიდან, ხმაური, ვიბრაცია და მდინარის ამღვრევა დროებითი ხასიათისაა. ისინი ზემოქმედების ზონიდან ჰიდრობიონტების დროებით განრიდებას იწვევენ, შესაბამისად, მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ ახდენენ.

თევზების საქვირითე მიგრაციის ან/და ქვირითობის პროცესის შეფერხება შესაძლოა გამოიწვიოს მხლოდ არასწორად დაგეგმილმა სამუშაოებმა. აღნიშნული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიება წარმოდგენილია შესაბამის თავში.

ფსკერული ინდივიდებისთვის (მაკროუხერხემლოები) ჰაბიტატის განადგურება მოსალოდნელია დროებითი საავტომობილო გადასასველის განთავსების მონაკეთში. დროებითი ხიდის საპროექტო პარამეტრებიდან გამომდინარე, ზემოქმედებას

მნიშვნელოვანი ხასიათი არ ექნება. გარდა ამისა, მაკროუხერხემლოების ნაწილი სიმღვირივის მატებასთან ერთად მოწყდებიან საარსებო ზემოქმედების კერიდან და მდინარის დინებას მათვის შესაბამის ჰაბიტატებამდე გაყვებიან.

მდინარის წყლისა და ნაპირების დაბინძურება შესაძლოა ძირითადად პერსონალის დაუდევრობის ან/და გაუმართავი სამშენებლო ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში. მათი აღმოფხვრისთვის აუცილებელია შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინება, მათ შორის მნიშვნელოვანია აიკრძალოს მდინარეში ავტომობილების რეცხვა და ყველა იმ შემარბილებელი ღონისძიების გატარება, რომელიც მოცემულია „ნახიუდირიჰესის“ გზშ-ის ანგარიშში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გზშ-ის ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გატარების გარდა, სხვა დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება დროებითი საავტომობილო გადასასველის მოწყობის შემთხვევაში საჭრო არ არის.

მოცემულ თავში წარმოდგენილია საპროექტო საქმიანობით ჰიდრობიონტებზე გამოწვეული შესაძლო ზემოქმედებების შერბილების გზები.

აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ მოიცავს მდინარის კალაპოტში მასშტაბური და მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებას. საყურადღებოა, რომ სამშენებლო სამუშაოები საჭიროებს საკმაოდ მცირე პერიოდს და მონტაჟის შემდგომ, ჰიდრობიონტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი ფაქტობრივად აღარ არის, აქვე უნდა აღინიშნოს, განსახილველი საქმიანობის შემთხვევაში მოსამზადებელი სამუშაო დაგრძელდება 2-3 დღე, ხოლო უშუალოდ მილებიდების მდინარეში ჩალაგებას არ დასჭირდება 5-6 საათზე მეტი.

ხმაურის, ვიბრაციის და მდინარის ამღვრევით გამოწვეული ზემოქმედებების შესარბილებლად რეკომენდებულია სამუშაოების ორგანიზებულად შესრულება და მოსალოდნელი ზემოქმედების შემდირების მიზნით შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც მსგავსად სხვა ზემოქმედების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მოცემულია გზშ-ის ანგარიშში.

მდინარის მცირე მონაკვეთის ამღვრევა გარდაუვალია, თუმცა, მოსალოდნელი არ არის რომ ბუნებრივი სიმღვივის ნიშნულს აღემატებოდეს. აღნიშნული ზემოქმედების შერბილებისათვის რეკომენდებულია სამუშაოების მაქსიმალური სიფრთხილით შესრულება.

თევზების საქვირითე მიგრაციაზე ან/და ქვირითობის პროცესზე ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებას წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების სწორ პერიოდში დაგეგმვა. ანგარიშის ზედა თავებში არსებულ ცხრილში წარმოდგენილია საპროექტო არეალში სავარაუდოდ გავრცელებული იქთიოფაუნის სატოფო პერიოდები. ცხრილის გაანალიზების საფუძველზე ჩანს, რომ სატოფო მიგრაციის პერიოდების პიკი მაისი-აგვისტოში ფიქსირდება. მოცემულ პერიოდში რეკომენდებული არ არის წყალსატევში მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება. საყურადღებოა, რომ პროექტით დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიება ატარებს რეკომენდაციის ხასიათს და მოსალოდნელი უმიშვნელო ზემოქმედების ასარიდებლადაა წარმოდგენილი.

მდინარის წყლისა და ნაპირების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, მშენებლობის შემდეგ საჭიროა საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებისაგან გასუფთავება. ასევე, ტექნიკურად გამართული სამშენებლო ტექნიკის გამოყენება, რომელიც გამორიცხავს მდინარის წყლის ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას, ამასთან საჭირაო +ყველა იმ შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც გზშ-ის ანგარიშშია განხილული.

### 3.5.3.8 დასკვნა

2022 წყლის აგვისტოს თვეში ჰიდრობიოლოგიური და იქთიოლოგიური მიმართულებით შესწავლილი იქნა მდ. ხრამზე განსახორციელებელი საპროექტო ცვლილებები, მათ შორის ყურადღება გამახვილდა დროებითი საავტომობილო გადასასველი მოსაწყობად გათავლსიწნებულ მონაკვეთზე, რადგან ის სხვა ზემოქმედებები, რომლებიც დაკავშრებულია საპროექტო ცვლილებებთან იდენტურია იმ ზემოქმედებების რომლებიც განხილულია გზშ-ის ანგარიშში, შესაბამისად აღნიშნული ზემოქმედებების წინამდებარე პარაგრაფში დეტალურად განხილვა იქნებოდა ფორმალური ხასიათის, შესაბამისად დროებითი საავტომობილო გადასასველის მოსაწყობად გათვალსიწნებული ტერიტორიის კვლევის საფუძველზე წარმოდგენილია შემდეგი დასკვნები:

- საკვლევ არეალში ჰიდრობიონტების საარსებო გარემოს კვლევის შედეგად დადებითი ეკოლოგიური გარემო დაფიქსირდა. მდინარის ჰაბიტატები და წყლის ზოგადი ხარისხობრივი მაჩვენებლები შესაბამებოდა ჰიდრობიონტების საარსებოდ საჭირო პირობებს;
- საპროექტო მონაკვეთში მაკროუხერხემლო ორგანიზმები მრავლად იყო. ისინი იქთიოფაუნითვის დამაკმაყოფილებელ საკვებ ბაზას ქმნიდნენ. რაოდენობირვი შეფასების შედეგად, 1 მ<sup>2</sup>-ზე დაახლოებით 1-2 გრ მაკროუხერხემლო ორგანიზმი დაფიქსირდა. აღნიშნული მონაცემისა და დროებითი ხიდის მოსაწყობად საჭირო ფართობის გათვალისწინებით, მაკროუხერხემლობებზე ზემოქმედების მასშტაბი უმნიშვნელო იქნება. საპროექტო მონაცემების თანახმად, სატრანსპორტო გადასასვლელის მოწყობა დაგეგმილია მრავალძაფიანი მილხიდის სახით. მდინარე ხრამი გატარებული იქნება 2,0x2,0 მ. შიდა განივი კვეთის ქონე ბეტონის კონსტრუქციებისაგან მოწყობილი 6 ძაფიანი (ბეტონის წყალგამტარი კონსტრუქცია მოეწყობა 6 რიგად) მილხიდით, ხოლო ამ მილხიდებზე ზევიდან გადავა სატრანსპორტო გზა. ჯამში ექვსივე ძაფის განივი კვეთის ფართი იქნება 6\*4= 24,0 მ<sup>2</sup>. შესაბამისად, ხიდის მოწყობისას, სრულ ფართობზე (24,0 მ<sup>2</sup>) ჰიდრობიონტებზე მაქსიმალური ზემოქმედება შესაძლოა განისაზღვროს 24-დან 48 გრ-მდე მაკროუხერხემლო ორგანიზმით (დამოკიდებულია ჰაბიტატზე და სეზონზე). რაც საკმაოდ მცირე რაოდნეობას წარმოადგენს. გარდა ამისა, დროებითი საავტომობილო გადასასვლელის მშენებლობისას მაკროუხერხემლობი მოწყდებიან საარსებო გარემოს და გაყვებიან წყლის ნაკადს; შესაბამისად, ზემოქმედების ხასიათი მნიშვნელოვანი არ იქნება;
- კამერალურ მონაცემებზე დაყრდნობით, საპროექტო მონაკვეთში საქართველოს წითელი ნუსხით დაცული იქთიოფაუნის გავრცელება მოსალოდნელი არ იყო. შესაბამისად შესასწავლი ჰაბიტატები მაღალი საკონსერვაციო ღირებულების არ არის. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ ჩატარებული საველე კვლევითი სამუშაოების შედეგები, რომელიც „ნახიდური ჰესი“-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშშია ასახული. თევზჭერის შედეგების თანახმად, საკვლევ არეალში საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა მოპოვებული არ ყოფილა;
- წინამდებარე სკრინინგის ანგარიშისთვის განხორციელებული საველე სამუშაოების მსვლელობისას, მოპოვებული იქნა 3 სახეობის თევზი: ჩვეულებრივი მარდულა, სწრაფულა (*Alburnoides bipunctatus* (Bloch, 1782)), მდინარის კავკასიური ღორჯო

- ((*Neogobius* (Ponticola) *constructor* (Nordmann, 1840)) და მტკვრის წვერა (*Barbus lacerta* Heckel, 1843). წარმოდგენილ სახეობებს მინიჭებული არ აქვთ საქართველოს წითელი ნუსხით განსაზღვრული დაცულობის სტატუსი. ჰაბიტატი საკონსერვაციო ღირებულების არაა; შესაბამისად, დროებითი საავტომობილო გადასასველის მოწყობა ჰიდრობიონტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ იქონიებს;
- მოსალოდნელი უმნიშვნელო ზემოქმედების მიუხედავად, შეფასდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ჰიდრობიონტებზე შესაძლო ზემოქმედებები. შემუშავდა შესაბამისი შემარბილებელი ონისძიებები, რეკომენდაციები და ზემოქმედებათა არიდების შესაძლო გზები. სამოქმედო გეგმის შესრულების შემთხვევაში, დროებითი საავტომობილო გადასასვლელის მოწყობისას ჰიდრობიონტებზე ზემოქმედება მაქსიმალურად იქნება შემცირებული და საკმაოდ უმიშვნელო ხასიათის იქნება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საავტომობილო გადასასველის, ასევე სხვა საპროექტო ცვლილებებით გათვალისწინებული უბნების მოწყობის დროს შემარბილებელი ონისძიების გატარება, სავალდებულია გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრული შემაბილებელი ონისძიებების შესაბამისად.

### 3.6 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

სამშენებლო სამუშაოების წარმოების და ჰესის ნორმალური ოპერირების პირობებში ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მაღალი რისკები მოსალოდნელი არ არის. ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია, რომ ძირითადი სამუშაოების წარმოების ტერიტორიიდან ადგილობრივი მოსახლეობა დაშორებულია მნიშვნელოვანი მანძილით, რაც თავისთავად ამცირებს ნეგატიური ზემოქმედებების რისკებს.

ადამიანის (ძირითადად მომსახურე პერსონალი) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი რისკები, როგორც პირვანდელი, ასევე საპროექტო ცვლილებებით ძირითადად უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, მაგალითად: სატრანსპორტო საშუალებების დაჯახება, დენის დარტყმა, სიმაღლიდან ჩამოვარდნა, ტრავმატიზმი სამშენებლო ტექნიკასთან მუშაობისას და სხვ. პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები, მკაცრი ზედამხედველობის პირობებში. ზემოქმედებების შემარბილებელი ონისძიებები, ასევე ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა მოცემულია გზშ-ის ანგარიშში, რაშიც გათვალისწინებულია, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედებები და ავარიული სიტუაციები, ამასთან მნიშვნელოვანია, სამუშაოების დაწყებამდე პერსონალს ჩაუტარდება ტრეინინგები უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე, დაწესდეს მკაცრი კონტროლი პირადი დაცვის საშუალებების გამოყენებაზე.

### 3.7 ნარჩენების მართვით მოსალოდნელი ზემოქმედება

„ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა“. ნარჩენების მართვის გეგმა ახლდება ყოველ 3 წელიწადში ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. ამ ეტაპზე, გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების პირობების შესრულების მიზნით, კომპანიას შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც რელევანტურია საპროექტო ცვლილებების განხორცილების დროსაც. როგორც ზედა თავში აღინიშნა, საპროექტო ცვლილებებით იზრდება ამოღებული ფუჭი გრუნტის რაოდენობა, რომელის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილებისთვის, ნაწილი კი განთავსდება პროექტის ფარგლებში მოსაწყობ სანაყაროზე. სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა, მოხდება სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, ზოგადად სამშენებლო მოედნების სიახლოვეს მოხდება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ამავე უბნებზე განთავსდება ურნები, რომლებზეც დატანილი იქნება სახოფათოობა არასახიფათოობის აღნიშვნები.

#### 4 დანართები

- 4.1 დანართი 1. ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების პოზიცია, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის 4<sup>1</sup> ნაწილით მოთხოვნილი დოკუმენტაციის თაობაზე



ს ა ქ ა რ თ ვ ა ლ თ  
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მარია  
G E O R G I A  
BOLNISI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 106-1062223894  
თარიღი: 26/08/2022

ადრესატი: შპს ნახიდური პესი  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400207049  
მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი,  
შეხიანის დასახლება, II მ/რ, კორპ. 8, ბ. 100

პასუხი - 2022 წლის 18 აგვისტოს  
N10/1062223041-04 წერილზე (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია).

შპს „ნახიდური პესი“-ს დირექტორს  
ბატონ თენგიშ ალავიძეს

ბატონო თენგიშ,

გაცნობებთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია გენერალური გეგმა, შესაბამისად არ არის  
დადგენილი ფუნქციური ზონები/ქვეზონები.

პატივისცემით,

ვალენტინა ნავერიანი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის  
შემსრულებელი)

გამოყენებულია ავალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/

ელექტრონული შტამპი





საქართველო  
თეთრიშვილის მუნიციპალიტეტის მარია

GEORGIA  
TETRITSKARO MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 124-124222407  
თარიღი: 28/08/2022

ადრესატი: შპს ნახიდური პესი  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400207049  
მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი,  
მუხრანის დასახლება, II მ/რ, კონკ. 8, ბ. 100

შ.პ.ს. „ნახიდური პესი“-ს დირექტორს  
ბატონ თენგიზ ალავიძეს  
ელ. ფოსტა: [nakhidurihpp@yahoo.com](mailto:nakhidurihpp@yahoo.com)

ბატონო თენგიზ,

თეთრიშვილის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 18 აგვისტოს  
შემოსული თქვენი N10/124222304-124 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ  
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის დამტკიცებული გენერალური გეგმა და არ  
გაგვაჩნია ტერიტორიების ფუნქციური ზონები.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ნახიდური პესი“-ს  
შენებლობის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის და შემდგომში  
ექსპლუატაციის საკითხს, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- სათავე ნაგებობის მშენებლობა და წყალსაცავის მოსაწყობი ტერიტორიის  
შერჩევა უნდა მოხდეს საინჟინრო გეოლოგიური და სესმური  
თვალსაზრისით უსაფრთხო ადგილზე.
- პესის მშენებლობა არ უნდა იყოს ახლომდებარე დასახლებებში მცხოვრები  
პატარისების სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საფრთხის  
შემცველი.
- ყურადღება უნდა მიექცეს უსაფრთხო გარემოს დაცვას.
- ხრამის ხეობის ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდი  
ყურადღება უნდა მიექცეს სამშენებლო ერეალში მოქცეული ისტორიულ-  
კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას.

საქართველო, თეთრიშვილი 2300, თამარ მეფის ქ. N34, ტელ: (995 359) 22 23 38  
34 TAMAR MEPHE STR. TETRITSKARO 2300, GEORGIA. TEL: (995 359) 22 23 38  
E-MAIL: MERIA@TETRITSKARO.GOV.GE WEB:WWW.TETRITSKARO.GOV.GE

- იმის გათვალისწინებით, რომ პესის ნაგებობის მშენებლობა ხორციელდება  
მდინარე ხრამის ხეობაში, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ამ არეალში  
გავრცელებულ ფლორისა და ფაუნის დაცვას.

პატივისცემით,

გიორგი წიგლაური  
თეთრიშვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერია

გამოყენებულია კალიფიციური  
კლეიტონული ხელმოწერა/  
კლეიტონული შეამპნი



## 4.2 დანართი 2. იქთიოფაუნის დახასიათება

### ნაკადულის კალმახი - *Salmo trutta Linnaes, 1758*

სიგრძე 20-40 სმ, წონა - 100-200 გ, ცოცხლობს 12 წლამდე. ბინადრობს მთის ჩქარი, ცივი მდინარეების ზემო დინებებში; სქესობრივად მწიფდება 2-4 წლის ასაკიდან; მრავლდება სექტემბრიდან თებერვლამდე. უმეტესად ოქტომბერ-ნოემბერში; ქვირითს ყრის მდინარის ჩქარი დინების თხელწყლიან, ქვაქვიშიან ადგილებში; ნაყოფიერება 200-2000 ქვირითია.

იკვებება ბენთოსით, წყალში ჩაცვენილი მწერებით, ბაყაყებით, წვრილი თევზებით და ქვირითით.

გავრცელებულია საქართველოში ყველგან მთის მდინარეებში და იშვიათად - ბარის მდინარეებშიც. მტკვარში, ტაშისკარიდან მდინარე ოკამამდე და ზევით. მდინარე მტკვრის შენაკადებში: ხრამი, არაგვში საგურამოდან ქსნამდე, ლიახვი, ბორჯომულა, ფოცხოვი, ახალქალაქისწყალი; ალაზანსა და მის შენაკადებში, ჭოროხი; წყალსაცავებში: ხრამი, თბილისი, სიონი.

### მტკვრის წვერა - *Barbus lacerta Heckel, 1843*

სიგრძე 50 სმ, წონა 1 კგ. ჩვეულებრივ გვხვდება უფრო პატარები. ბენთოპელაგიური, მტკვარი წყლის თევზია. ახასიათებს სქესობრივი დიმორფიზმი მდედრი 3-4-ჯერ დიდია მამრზე. მდედრი სქესობრივად მწიფდება 3 წლის ასაკიდან, მამრი 2 წლიდან; მრავლდება აპრილ-აგვისტოში. ნაყოფიერება 24000 ქვირითამდეა.

იკვებება ბენთოსით და ნაწილობრივ - წყალმცენარეებით.

გვხვდება საქართველოს მტკვარ წყლებში: მტკვარსა და მის შენაკადებში; ხრამში, ალგეთში, არაგვში, ქსანში, ლიახვში, ბორჯომის, ფოცხოვის, ახალქალაქის წყლებში, იორში, ალაზანში; მცირეა ტბებსა და წყალსაცავებში.

რაოდენობის სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

### მურწა - *Luciobarbus mursa (Guldenstadt, 1773)*

სიგრძე 40 სმ, წონა 0.5 კგ, ჩვეულებრივ გვხვდება უფრო პატარები. მწიფდება 2-3 წლის ასაკიდან; ტოფობს მაის-ივნისში; ნაყოფიერება 3000-დან 23000-მდე ქვირითს აღწევს.

იკვებება ძირითადად წყლის მწერებით და მათი მატლებით, კიბოსნაირებით და დეტრიტით.

საქართველოში ბინადრობს მტკვრის აუზში, გვხვდება მის მთელ სიგრძეზე, ჩქარი დინების და ქვა-ქვიშიან ადგილებში, მდინარეებში: ხრამში, არაგვში, ქსანში, ლიახვში, ფოცხოვში, იორში, ქუთისკარამდე; ალაზანში ადის პანკისის ხეობამდე, მის შენაკადებში: ილტოში, ხევისჭალაში, სტორში, ლოპოტაში, ჩელთიში, დურუჯში, ბურსაში, კაბალიში; იშვიათად - სიონის თბილისისა და პალდოს წყალსაცავებში.

ამიერკავკასიის ენდემია.

სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

### ხრამული - *Capoeta capoeta Guldenstadt, 1773*

სიგრძე 50 სმ, წონა 2.5 კგ, ტბებსა და წყალსატევებში იზრდება უფრო სწრაფად და აღწევს დიდ ზომებს, ვიდრე მდინარეებში. კარგად ეგუება ჩქარ დინებას და ცივ წყალს. სქესობრივად სხვადასხვა წყალსატევებში სხვადასხვა ასაკში მწიფდება; ქვირითის რაოდენობაც დამოკიდებულია ასაკზე; სქესობრივად მამრი მწიფდება მესამე წელს,

მდედრი 4-5 წლისა; ნაყოფიერება მდინარეებში აღწევს 6000-დან 30000 ქვირითს, ტბებსა და წყალსატევებში - 90000-მდე; ტოფობს რამდენჯერმე, აპრილის ბოლოდან ოქტომბრამდე.

იკვებება წყალმცენარეებით, დეტრიტით და ზოობენთოსით.

### მტკვრის თაღლითა - *Alburnus filippi Kessler, 1877*

სიგრძე 17 სმ, წონა 44 გ, ჩვეულებრივ გვხვდება უფრო პატარები. მტკნარი წყლის პელაგიური, ქარავნული თევზია, ირჩევს მდინარის მდორე ადგილებს. მრავლდება მაისიდან ივლისამდე; ტოფობს სამჯერ; ნაყოფიერება 1000-10000 ქვირითია.

იკვებება ძირითადად პლანქტონით, ბენთოსით და წყალმცენარეებით.

საქართველოში გვხვდება მტკვარში ( მთელ სიგრძეზე, მის შენაკადებში), ხრამის შესართავიდან ხრამქესამდე, შავწყალაში, კლდეისში, დებედაში, მაშავერაში, ალგეთში, არაგვის ზემო დინებებში. ქსანში, ლიახვში, აბასთუმნისწყალში, ფოცხოვში, იორში, ალაზანში (მის ყველა შენეკადში); ჯანდარის ტბაში, თბილისისა და სიონის წყალსაცავებში. ლენქორანის სანაპირო მდინარეებში.

ამიერკავკასიის ენდემია.

### ჩვეულებრივი ქაშაპი - *Leuciscus leuciscus* (Linneus, 1758)

სიგრძე 45 სმ, წონა 1.5 კგ, იშვიათია უფრო მეტი ზომისა და წონისა. სქესობრივად მწიფდება 2-3 წლის ასაკიდან; მრავლდება მაისიდან სექტემბრამდე, ქვა-ქვიშიან ადგილებში; ნაყოფიერება აღწევს 4000-125000 ქვირითს. მტკნარი წყლის ბინადარია. ადვილად ეგუება როგორც მდინარის, ისე ტბის პირობებს.

იკვებება ცხოველური და მცენარეული საკვებით, თევზებით, მათი ქვირითით, ბაყაყებით, წყლის მწერებით, მათი მატლებითა და წყალმცენარეებით.

გავრცელებულია საქართველოს მდინარეებში: მტკვარში, ხრამში, არაგვში, ალაზანში, იორში, ჭოროხში, კინტრიში, სუფსაში, ნატანებში, რიონში, ბზიფში; ტბებში: ჯანდარში, ფარავანში, საღამოში, ბაზალეთში, პალიასტომში, ბებესირში; წყალსაცავებში: ხრამის, თბილისის, სიონისა; სარეწაო მნიშვნელობა მცირე აქვს.

### კავკასიური ქაშაპი - *Squalius cephalus* Linnaeus, 1758

სიგრძე 50 სმ, წონა 1.5 კგ, ჩვეულებრივ პატარებია. სქესობრივად მწიფდება 2-3 წლის ასაკიდან; მრავლდება მაისიდან აგვისტომდე, ნაყოფიერება აღწევს 15000-150000 ქვირითს. მტკნარი წყლის თევზია, ბინადრობს ქვა-ქვიშიან ადგილებში.

იკვებება როგორც ცხოველური, ისე მცენარეული საკვებით.

საქართველოში გავრცელების არეალია მდინარეები: მტკვარი, ხრამი, არაგვი, ალაზანი, იორი, ჭოროხი, კინტრიში, სუფსა, ნატანები, რიონი, ხობი, ენგური, კოდორი, ბზიფი; ტბები: ჯანდარი, ფარავანი, საღამო, ბაზალეთი, პალიასტომი, ბებესირი. ხრამის, თბილისის, სიონის წყალსაცავები.

### მტკვრის ნაფოტა - *Rutilus rutilus kurensis* Berg, 1932

მტკვრის ნაფოტა 37 სმ, წონა 550 გ, იშვიათად გვხვდება 700 გ-მდეც. სქესობრივად მწიფდება 2-6 წლის ასაკიდან; მრავლდება სხვადასხვა დროს ადგილმდებარეობის მიხედვით, მარტიდან ივნისამდე; ნაყოფიერება აღწევს 1000-55000 ქვირითს. გამსვლელი ქარავნული თევზია, უმეტეს დროს ატარებს ზღვაში, მრავლდება მდინარეებში.

ლიფსიტები იკვებება უმეტესად პლანქტონით, კიბოსნაირებით, კლადოცერებით, ნიჩაბფეხიანებით; მოზარდები - მოლუსკებით, კიბოსნაირებით, ჭიებით და დღიურას ჭუპრებით.

გავრცელებულია მტკვარში, ხრამში, იორში, ალაზანში. თბილისის წყალსაცავში. ჯანდარის ტბაში. მნიშვნელოვანი სარეწაო თევზია.

### ჩვეულებრივი გველანა - *Cobitis taenia* Linnaeus, 1758

მაქსიმალური სიგრძე 13.5 სმ, მაქსიმალური ასაკი 5 წ, მტკნარი წყლის თევზია. მრავლდება მაისიდან სექტემბრამდე; ნაყოფიერება აღწევს 2500 ქვირითს. ბინადრობს მდინარეებში, ტბებსა და ქალსაცავებში. ამჯობინებს შლამიან და ქვა-ქვიშიან ადგილებს.

იკვებება ბენთოსით, პლანქტონითა და წყალმცენარეებით.

საქართველოში გვხვდება მტკვრის მთელ სიგრძეზე, მის შენაკადებში: ხრამში, არაგვში, ქსანში, ლიახვში, ბორჯომულაში, აბასთუმნისწყალში, ფოცხოვში, ახალქალაქის წყალში, იორსა და მის შენაკადებში, ალაზანში - შესართავიდან პანკისის ხეობამდე; თბილისის, სიონის წყალსაცავებში; ჯანდარის ტბაში.

### წინაკავკასიური გველანა - *Sabanejewia caucasica* Berg, 1906

სიგრძე 14 სმ, წონა 4 გ, მტკნარი წყლის თევზია. მრავლდება მაისიდან აგვისტომდე; ნაყოფიერება აღწევს 150-2800 ქვირითამდე. ბინადრობს შლამიან და ქვაქვიშიან თხელწყლიან ადგილებში.

იკვებება პლანქტონით, ბენთოსითა და წყალმცენარეებით.

საქართველოში გვხვდება მტკვარში, მის შენაკადებში, ალაზანში - შესართავიდან პანკისის ხეობამდე; წყალსაცავებში: თბილისის, პალდოს, სიონის წყალსაცავებში; ჯანდარის ტბაში.

### მტკვრის გოჭალა - *Barbatula brandtii* Kessler, 1877

სიგრძე 8.5 სმ-მდე, წონა 4.5 გ, მრავლდება მაისიდან აგვისტომდე; ნაყოფიერება 3000-5000 ქვირითია. ბინადრობს მდინარეების შუა და ზემო დინებაში, ირჩევს წყალმცენარეებით მდიდარ ქვაქვიშიან ადგილებს.

იშვიათია წყალსაცავებსა და ტბებში.

იკვებება პლანქტონით, ბენთოსით და თევზის ქვირითით.

საქართველოში გვხვდება მტკვარში - მთელ სიგრძეზე, მის შენაკადებში: ხრამში, არაგვში, ქსანში, ლიახვში, ფოცხოვში, ალაზანში, ივრის მთელ სიგრძეზე, მის შენაკადებში, ჯანდარის ტბაში; წყალსაცავებში: პალდოს, თბილისის, სიონის.

### მდინარის კავკასიური ღორჯო - *Neogobius (Ponticola) constructor* Nordmann, 1840

მაქსიმალური სიგრძე 20 სმ, წონა 35 გ. ჩვეულებრივ გვხვდება უფრო პატარები. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 2-3 წლის ასაკიდან; ტოფობს მაის-ივნისში; ნაყოფიერება აღწევს 400-1000 ქვირითს. უმეტესად ბინადრობს ჩქარ მდინარეებში; ირჩევს ქვაქვიშიან ბიოტოპს.

იკვებება წვრილი თევზებით, ბენთოსური ორგანიზმებით, ნაწილობრივ - წყალმცენარეებით.

საქართველოს მდინარეებში გვხვდება თითქმის ყველგან, ზოგიერთ ტბასა და წყალსატევშიც.

**4.3 დანართი 3. გარემოს ეროვნული საგენტოს 2023 წლის 17 თებერვლის N21/1015 წერილში განსაზღვრულ შენიშვნებზე რეაგირება**

N	შენიშვნა	რეაგირება
1.	წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, „სამშენებლო სამუშაოები საჭიროებს საკმაოდ მცირე პერიოდს და მონტაჟის შემდგომ, ჰიდრობიონტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი ფაქტობრივად აღარ არის“, თუმცა არ არის დაზუსტებული კალაპოტში ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები.	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 3.5.3.7
2.	დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იგეგმება მილსადენის ტრასის მარჯვენა მხარეს მთის ფერდობების ქვედა ნაწილის ჩამოჭრა, რომელიც სცდება გზშ-ს ეტაპზე შეთანხმებულ ბუფერის საზღვრებს. ასევე მოცემული უნდა იყოს ფერდობის ჩამოჭრის სამუშაოების ეტაპზე გამოყენებული ტექნიკური საშუალებების აღწერა, ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით. ამავე ტერიტორიასთან მიმართებით ვხვდებით ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც „მდ. ხრამის ხეობაში წარმოდგენილი კლდოვანი მასივები შესაძლოა დამურების ადგილსამყოფელს წარმოადგენდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაკონკრეტდეს შესაძლო ზემოქმედების მასშტაბი და შემოთავაზებული იქნას შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები.	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 3.5.2.4
3.	სკრინინგის განცხადების თანახმად, საბოლოო პროექტის მიხედვით, სადაწერო მილსადენის ბუფერისათვის გამოყოფილი ფართობი შეადგენს 58 880 მ <sup>2</sup> -ს. ამ ფართობიდან მუდმივ სარგებლობაში გადასაცემია 33 337 მ <sup>2</sup> , შესაბამისად დროებით სარგებლობაში გადასაცემი იქნება 25 543 მ <sup>2</sup> . წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ სადაწერო მილსადენის ბუფერისათვის გამოყოფილი ფართობი არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ფართობს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 2.2
4.	სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ცვლილებების მიხედვით, ჰესის შენობის მიერ ასათვისებელი მიწის ნაკვეთის ფართი იქნება 820 მ <sup>2</sup> , ხოლო წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ჰესის შენობის მიერ ასათვისებელი მიწის ფართობი აღემატება 820 მ <sup>2</sup> -ს. აღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებში ასახული უნდა იქნეს ჰესის შენობის და ჰესის შენობის თვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის დაზუსტებული კონტური;	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. თანდართული Shp ფაილები
5.	სკრინინგის განცხადების თანახმად, სააგრეგატე შენობის ზომები არ შეცვლილა, კერძოდ სააგრეგატე შენობის სიგრძე შეადგენს 35,45 მ.-ს. სრული სიგანე (მიშენებებიანად) 24,45 მ.-ს (14,3 მ. მირითადი ნაწილი, სადაც განთავსებულია სააგრეგატე დარბაზი და სამონტაჟო მოედანი - 14,3 მ. სამომსახურეო მეშონება - 10,15 მ. ჯამში $14,3+10,15=24,45$ მ. შენობის სიმაღლე, ათვლილი შენობის გარშემო მიწის ზედაპირის მოსწორების ნიშნულიდან შეადგენს - მირითად, ტურბინა-გენერატორების განთავსების დარბაზის და სამონტაჟო მოედნის განთავსების ნაწილში - 13,46 მ.-ს, სამომსახურეო და სატრანსფორმატორო მიშენების ნაწილში - 5,15 მ. ამასთან გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, სააგრეგატო შენობა წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: ტურბინა-გენერატორების სამონტაჟო დარბაზი (დარბაზის ზომებია 12,0X24,5 მ); სამონტაჟო მოედანი (6,0X12,0 მ); სამომსახურეო ერთსართულიანი მიშენება (ზომა 11,9X31,5 მ), სატრანსფორმატორო ქვესადგურით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 2.5
6.	სკრინინგის განცხადების თანახმად, საბოლოო ვარიანტის მიხედვით სადაწერო მილსადენის ტრასაზე მუშავდება 159 000 მ <sup>3</sup> გრუნტი, ანუ დასამუშავებელი გრუნტის მოცულობა გაიზარდა 5400 მ <sup>3</sup> -ით, ხოლო მისასვლელი გზების	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 3.3

	მოსაწყობად დასამუშავებელია დაახლოებით 6100 მ³ მოცულობის გრუნტი. დაზუსტებას საჭიროებს ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი გრუნტის უკუყრილებისთვის გამოსაყენებელი და სანაყაროზე განსათავსებელი მოცულობა	
7.	სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის ფარგლებში ჯამში შესაძლებელია დაახლოებით 2000 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, საიდანაც 1644 მ3 მოხსნა გათვალისწინებული იყო პირვანდელი პროექტის ფარგლებში (გზშ-ის ანგარიშით), შესაბამისად საპროექტო ცვლილებებით მოსალოდნელია დაახლოებით 300-350 მ3 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 1974 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რაც საჭიროებს დაზუსტებას	შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. პარაგრაფი 3.3